

რეგიონული მოხსენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის
ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ

2015 წელი

ქ.ბათუმი

მოამზადა: ნ.სურმანიძემ

ლ.გორგილაძემ

მ.ფაღავამ

მ.ჩხაიძემ

ნ.ნიჟარაძემ

ჯანმრთელობის მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აჭარა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილია, რომელიც ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება აჭარა-გურიის, სამხრეთიდან შავშეთის, აღმოსავლეთიდან არსიანის ქედი, ხოლო დასავლეთით ეკვრის შავი ზღვა. აჭარის ფართობი დაახლოებით 2990 კვ.კმ-ია, საქართველოს ტერიტორიის 4,3%. რეგიონის მოსახლეობა შეადგენს 399 634 -ს.

აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის დადებითი მხარეა აჭარის განლაგება სამხრეთ განედებში, დედამიწის სუბტროპიკული ზონის ჩრდილო პერიფერიულ ნაწილში (მისი კოორდინატებია ჩ.გ. $41^{\circ} 26''$ - $41^{\circ} 53''$ და ა. გ. $42^{\circ} 33''$ და $42^{\circ} 35''$), სადაც ჩამოყალიბებულია ტენიანი სუბტროპიკული ჰავა, რომელიც ხელს უწყობს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარებას. აჭარის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ძირითადი ნიშნებია: 1. აქვს პირდაპირი გასასვლელი შავ ზღვაზე; 2. მდებარეობს ევროპისა და აზიის გზების გასაყარზე; 3. აჭარაზე გადის ტრანსევრაზიის საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო კომუნიკაციები; 4. გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

შავი ზღვა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჩაკეტილი წყლის მასივია, სანაპირო ზოლის სიგრძე დაახლოებით 4000 კმ-ია, საიდანაც საქართველოს 320 კმ ეკუთვნის. აჭარის ზღვის სანაპირო ზონა დაახლოებით 57 კმ სიგრძისაა.

აჭარაში 1564 დიდი და პატარა მდინარეა, რომელთა სიგრძე 5 კმ-ზე მეტია. მდინარეთა საერთო სიგრძე დაახლოებით 8600 კმ შეადგენს. აჭარის მდინარეები მდინარე ქვაბლიანის და მისი შენაკადების გარდა (კასპიის ზღვის აუზი) ყველა შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება.

ტბები აჭარაში გვხვდება როგორც დაბლობ, ისე მთიან ზოლში. მათი სიგრძე და სიგანე რამდენიმე ათეული მეტრია. ზღვისპირა ტბებია: გონიო, უსახელო, ნურიგელი და სხვა, ხოლო მთიანი აჭარის ტბებია: მწვანე ტბა, ბოძაური, წიფლნარის, ჩირუხის და სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობს 6 კურორტი და 17 საკურორტო ადგილი. რეგიონის კურორტებია: ქობულეთი, ციხისძირი, მახინჯაური, ბათუმი, ბეშუმბი, მწვანე კონცხი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 42 დასახელების მინერალური წყალია.

საქართველოს რეგიონებს შორის აჭარის დაცული ტერიტორიების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია როგორც ფართობით, ისე ფორმირების სისტემურობითა და ტრანსლოკალური ხასიათით. დაცული ტერიტორიები აქ თავისი სტატუსების

მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ნაკრძალი აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, ბუნების ძეგლი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ადმინისტრაციულად ერთ თვითმმართველ ქალაქად და 5 მუნიციპალიტეტად იყოფა: ქალაქი ბათუმი - აჭარის ადმინისტრაციული ცენტრი - ფართობი 64.94 კვ.კმ; მოსახლეობა - 169 120; ბათუმი დღეისათვის სრულყოფილი სატრანსპორტო, სამრეწველო, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, საკურორტო, ტურისტული, საქმიანი და საფინანსო ცენტრია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – ფართობი - 356,4 კვ.კმ; მოსახლეობა - 61 538 ადამიანი; ქობულეთის მუნიციპალიტეტი -ფართობი 741,3კვ.კმ, მოსახლეობა - 88 090 ქედის მუნიციპალიტეტის ფართობი - 459 კვ.კმ მოსახლეობა - 20 407; შუახევის მუნიციპალიტეტის ფართობი - 588 კვ.კმ მოსახლეობა - 20 075; ხულოს მუნიციპალიტეტის ფართობი - 710 კვ. კმ მოსახლეობა - 32 596;


დემოგრაფიული სტატისტიკა:

საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაცია) შეადგენს 399 634 ადამიანს, მათ შორის: 203 858 ქალი (51%), 195 776 კაცი (49%). მოსახლეობის 45% (176 928 ადამიანი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 55% სოფლად. 0-18 წლამდე ასაკის პოპულაცია 23%-ია (90 378), 60 წლის ზემოთ ასაკობრივი ჯგუფი 16% შეადგენს (60 584).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი (31.12.2014წ)

№		ბათუმი		ქობულეთი		ხელვაჩაური		ქედა		შუახევი		ხულო		აჭარა	
1	მოსახლეობის რაოდენობა სულ	176 928		88 090		61 538		20 407		20 075		32 596		399 634	
ა	0-5 წლამდე	13 422	8%	6234	7%	4552	8%	1315	7%	1334	7%	2309	7%	29 166	8%
ბ	5-12 წლამდე	14 731	8%	7099	8%	5003	9%	1727	9%	1591	8%	3120	9%	33 271	9%
გ	12-18 წლამდე	11 079	7%	5838	7%	4422	7%	1598	8%	1852	19%	3152	10%	27 941	7%
დ	18-60 წლამდე	110 376	62%	55 343	62%	39401	63%	12539	62%	12001	60%	19012	59%	248 672	63%
ვ	60 წლის ზემოთ	27 320	15%	13 576	16%	8160	13%	3228	16%	3297	16%	5003	15%	60 584	16%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის შემადგენლობა ასაკისა და სქესის მიხედვით



	0-4	5-11	12-17	18-59	60+
ქალი	13 935	15 491	13 119	125 328	35 985
კაცი	15 231	17 780	14 822	123 344	24 599

ცხრილი გვიჩვენებს, რომ აჭარის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოდის შრომისუნარიან მოსახლეობაზე 18-60 წლამდე 248 672 (63%), საქართველოს მიხედვით ეს მაჩვენებელი 64%-ია. აჭარაში შრომისუნარიან ასაკზე უფროსია მოსახლეობის საერთო რაოდენობის 16%, საქართველოს მიხედვით კი ეს მაჩვენებელი 19%-ს შეადგენს.

შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (15დან -60 წლის)

აჭარა (მოსახლეობა- 399 634)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	9 393	22 098	16 835	30 661	29 067	26 161	134 215
კაცი	10 539	23 334	17 631	30 709	27 788	22 753	132 754
სულ	19 932	45 432	34 466	61 370	56 855	48 914	266 969
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5%	12%	9%	15%	14%	12%	67%

ბათუმი (მოსახლეობა- 176 928)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	3 708	9 407	7 444	14 324	13 502	12 943	61 328
კაცი	4 236	9 445	7 470	13 392	11 600	10 427	56 570
სულ	7 944	18 852	14 914	27 716	25 102	23 370	117 898
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5%	11%	8%	16%	14%	13%	67%

ქობულეთი (მოსახლეობა- 88 090)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	1 952	4 823	3 742	6 743	6 368	5 831	29 189
კაცი	2 150	5 174	3 860	6 997	6 522	5 289	29 992
სულ	4 102	9 997	7 602	13 470	12 890	11 120	59 191
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5%	11%	9%	15%	15%	13%	68%

ხელვაჩაური (მოსახლეობა- 61 538)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	1 467	3 481	2 692	4 733	4 497	3 675	20 545
კაცი	1 677	3 908	2 903	4 929	4 602	3 691	21 710
სულ	3 144	7 389	5 595	9 662	9 099	7 366	42 255
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5%	12%	9%	16%	15%	12%	69%


ქედა (მოსახლეობა- 20 407)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	542	1 155	858	1 546	1 384	1 116	6 601
კაცი	596	1 214	943	1 610	1 468	1 089	6 920
სულ	1 138	2 369	1 801	3 156	2 852	2 205	13 521
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	6%	12%	9%	15%	14%	11%	67%

შუახვევი (მოსახლეობა- 20 075)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	642	1 216	765	1 388	1 233	998	6 242
კაცი	690	1 397	954	1 536	1 416	902	6 895
სულ	1 332	2 613	1 719	2 924	2 649	1 900	13 137
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	7%	13%	9%	15%	13%	9%	66%

ხელო (მოსახლეობა- 32 596)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	1 082	2 016	1 334	2 197	2 083	1 598	10 310
კაცი	1 190	2 196	1 501	2 245	2 180	1 355	10 667
სულ	2 272	4 212	2 835	4 442	4 263	2 953	20 977
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	7%	13%	9%	14%	13%	9%	65%

შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (აჭარა 2014 წელი)


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა სულ – 399 634



აჭარის მოსახლეობის გეოგრაფიული სტრუქტურა (2001-2014 წლები)

ქალაქი, ენციფალიტები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
აჭარა	402900	406500	376016	379900	382565	386194	387954	390174	360526	376536	385970	393772	396760	399634
ბათუმი	140200	140200	121806	12300	124176	124846	125478	126534	121289	130940	154930	169120	172594	176928
ქობულეთი	94800	92600	88063	88900	89453	90292	90641	91094	82844	86752	86610	87604	87770	88090
ხელვაჩაური	90900	94800	90843	91900	92450	93551	94111	94978	86952	85472	69385	62721	62653	61538
ქედა	20200	20600	20024	20100	20171	20317	20433	20498	18579	1915	20786	20691	20586	20407
შუახევი	20500	22400	21850	22000	22122	22370	22438	22257	19437	20416	20646	20320	20125	20075
ხულო	36300	35800	33430	34000	34193	34818	34853	34813	31425	33141	33613	33316	33032	32596

აჭარის მოსახლეობის გეოგრაფიული სტრუქტურა (2014 წელი)



აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი ბუნებრივი ნამატი დაფიქსირდა 1986 წელს (5 544 - მაჩვენებელი 14,9), ყველაზე დაბალი 2003 წელს (1 622 - მაჩვენებელი 4,2). 2004 წლიდან დაიწყო შობადობის მატების ტენდენცია (2004 წელს დაიბადა 4 457 ბავშვი. შობადობის მაჩვენებელი 11,7). 2012 წელს - დაიბადა 5693 ახალშობილი (მ.შ. სამშობიარო ქსელში 5661 ახალშობილი, ბინაზე-32), 2013 წელს - 6004 (მ.შ. სამშობიარო ქსელში დაიბადა 5993 ახალშობილი, ბინაზე-11)

2014 წელს რეგიონში დაიბადა 6483 ბავშვი (მ.შ. სამშობიარო ქსელში დაიბადა 6476 ახალშობილი, ბინაზე-7), მათ შორის 6430 ცოცხლადშობილი და 53 მკვდრადშობილი, საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით აჭარის რეგიონის მკვიდრია (იურიდიული მისამართის შესაბამისად) 6061 ახალშობილი. შობადობის მაჩვენებელი 1 000 მოსახლეზე 15,2. მონაცემები, შობადობის ამ უკანასკნელი მონაცემისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით დემოგრაფიული დინამიკა აჭარის რეგიონისთვის მოცემულია ცხრილში:

დემოგრაფიული მონაცემები, აჭარა, 2014 წ

ქალაქი, მუნიციპალიტეტი	დაბადება		გარდაცვალება			1-5 წლამდე ასაკის კონტიგენტი	1-5 წლამდე ასაკის გარდაცვალების მაჩვენებელი (1 000-ზე)
	დაბადება	მ.შ.მკვ დრადშ ობილი	სულ	მ.შ.0-1 წ	1-5 წ		
ბათუმი	2666	47	1309	26	29	13 422	2,16
სხვა რეგიონის მკვიდრი	422						
ქობულეთი	1363	2	800	14	14	6234	2,25
ხელვაჩაური	981	0	537	9	9	4552	1,98
ქედა	289	0	188	1	2	1315	1,52
შუახევი	275	1	197	9	9	1334	6,75
ხულო	487	3	274	10	13	2309	5,63
აჭარა	6483	53	3305	69	76	29 166	2,61

2014 წელს 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხლადშობილზე რეგიონისათვის შეადგენს 12,5–ს, საქართველოსათვის აღნიშნული მაჩვენებელი 2013 წლისათვის სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით 12–ია.

0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილობა

საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს ინფორმაციის თანახმად

წლები	აჭარა		ბათუმი		ქობულეთი		ხელვაჩაური		ქედა		შუახევი		ხულო	
	აბსოლ იტური	მაჩვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მაჩვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მაჩვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მაჩვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მაჩვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსო ლური	მაჩვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსო ლური	მაჩვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე
1989	183	23,1	69	31,0	35	20,2	35	18,5	10	18,9	16	26,2	18	17,4
1990	161	21,2	87	41,1	41	20,0	11	28,0	15	7,0	16	4,0	15	18,1
1991	170	22,5	70	33,1	35	19,1	40	21,3	7	17,2	6	12,1	12	14,6
1992	200	27,4	96	48,8	15	8,5	45	26,3	17	41,3	9	16,8	18	19,6
1993	239	35,8	121	68,2	33	20,8	47	28,6	15	40,2	14	35,0	9	10,0
1994	192	30,5	76	42,5	26	17,8	60	37,9	9	38,2	12	33,5	9	14,3

1995	145	26,2	81	49,9	8	7,2	19	12,9	2	5,8	21	46,2	14	28,0
1996	129	26,2	86	54,0	–	–	16	14,4	4	13,9	7	29,8	16	24,8
1997	125	24,6	45	31,5	15	17,0	30	23,4	9	26,0	13	33,5	13	17,5
1998	114	24,1	62	38,7	6	6,8	10	8,7	9	29,4	10	28,9	17	37,8
1999	95	23,1	65	44,0	5	71,0	5	5,0	8	29,6	7	21,8	5	14,7
2000	68	15,1	52	33,6	3	3,6	6	5,8	4	15,2	1	3,1	2	3,7
2001	63	14,2	44	27,6	1	1,3	3	3,0	5	18,9	6	20,9	4	7,8
2002	48	11,0	31	19,3	1	1,3	1	0,9	4	14,9	5	21,6	6	13,0
2003	42	10,6	34	21,3	–	–	1	1,0	–	–	5	24,3	2	5,2
2004	81	18,1	57	33,6	2	2,4	–	–	4	16,6	2	8,8	16	33,0
2005	69	16,8	54	33,9	1	1,3	2	2,2	3	11,0	1	5,3	8	18,4
2006	45	10,3	43	25,9	–	–	–	–	2	8,6	–	–	–	–
2007	46	18,3	40	21,6	–	–	3	2,9	–	–	1	5,7	2	5,3
2008	38	6,9	33	14,7	3	2,7	–	–	1	4,3	–	–	1	2,2
2009	69	11,2	16	5,4	19	18,1	16	12,4	6	26,7	4	18,6	8	20,3
2010	60	9,8	17	9,3	14	9,7	16	10,1	2	5,9	1	2,8	10	17,5
2011	51	9,3	9	4,5	15	11,6	17	13,6	2	6,2	2	9,1	6	15,9
2012	64	11,4	14	5,6	11	9,6	15	15,4	3	11,6	2	7,5	19	39,8
2013	53	9,2	18	6,9	13	10,3	12	12,8	2	7,9	3	12,2	5	10,4
2014	69	11,39	26	9,76	14	10,28	9	9,18	1	3,46	9	32,7	10	20,5

2014 წლის საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს ინფორმაციით 0–1 წლამდე ასაკის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ბავშვთა სიკვდილიანობა შეადგენს 69–ს, (რომელთა ნაწილის ფაქტიურ საცხოვრებელს წარმოადგენს სხვა რეგიონი). აჭარის სამედიცინო დაწესებულებებიდან მოწოდებული ინფორმაციით 0–1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა შეადგენს 56–ს, მ.შ. ბინაზე –2 (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში).

ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებელი დაფიქსირდა 2007 წელს (18,3), ხოლო ყველაზე დაბალი - 2008 წელს (6,9). მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მომზადებულ 2009 წლის მოხსენებაში "ჯანმრთელობის დაცვის

მდგომარეობის შესახებ ევროპაში” 2006 წლის მონაცემებით 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილობა ევროპის რეგიონში შედგენს 7,3, დსთ-ს ქვეყნებში - 12,8, საქართველოში - 15,8.

სსიპ დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით 2013 წლის მდგომარეობით 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში შეადგენს 10,5-ს, აჭარის საშუალო მაჩვენებელი 2013 წლისათვის 7,8. (2014 წლისათვის რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით კი აღნიშნული მაჩვენებელი – 8,7-ია).


2014 წელს სტაციონარული მონაცემების მიხედვით იკლო მე-3 და მეტ ბავშვზე მშობიარობის რაოდენობამ. 2012 წლისათვის აღნიშნული მონაცემი შეადგენდა მშობიარობათა 14,8%-ს, რაც 2011 წელთან შედარებით 5,2%-ით მეტი იყო. 2013 წლის მონაცემებით მე-3 და მეტი ბავშვის მშობიარობა შეადგენდა 718-ს, რაც საერთო მშობიარობათა 12%-ია, 2,8%-ით ნაკლები წინა წლის მონაცემთან შედარებით. 2014 წელს მე-3 და მეტ ბავშვზე მშობიარობათა რიცხვი შეადგენს 698-ს, რაც საერთო მშობიარობათა 11%-ია (კლება 20 ერთეულით).

დემოგრაფიული მონაცემების დინამიკა, აჭარა 2000-2014 წწ

წელი	მოსახლეობა			შობადობა		სიკვდილობა		ბუნებრივი ნამატი	
	სულ	ქალი	კაცი	აბსოლი ტური	მაჩვენე ბელი 1000 მოსახ	აბსოლი ტური	მაჩვენე ბელი 1000 მოსახ	აბსოლი ტური	მაჩვენე ბელი 1000 მოსახ
2000	400500	212265	188235	4501	11,2	2405	6,0	2096	5,7
2001	402900	204126	198774	4411	10,9	2121	5,2	2290	3,7
2002	406500	215039	191461	4332	10,6	2175	5,3	1743	5,3
2003	376016	206720	169296	3938	10,4	2316	6,1	1626	4,2
2004	379900	210359	169541	4457	11,7	2559	6,7	1898	5,0
2005	382565	204193	178372	4098	10,7	2153	5,6	1945	5,1
2006	386194	214068	172126	4464	11,5	2000	5,1	2388	6,2
2007	387954	215736	172218	4528	11,7	2324	5,9	2139	5,8
2008	390 174	216842	173332	5546	14,3	2444	6,2	3102	8,1
2009	360 526	198289	162237	6153	17,0	3190	8,8	2963	8,2
2010	376 536	193 274	183 859	6127	16,2	3107	8,2	3020	8,0

2011	385 970	197751	188219	5471	14,1	3239	8,3	2232	5.8
2012	393 772	201 247	192 525	5614	14,2	3224	8,2	2390	6,0
2013	396 760	202 139	194 621	5732	14,4	3139	7,9	2593	6,5
2014	399 634	203 858	195 776	6061	15,2	3305	8,27	2756	6,9

მოსახლეობის დინამიკა სქესის მიხედვით (2001-2014წწ)



ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა (აჭარა 2012-2014 წწ)

	2012 წ.			2013 წ			2014 წ.		
	სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის	
		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი
აჭარა	5614	2694	3118	5732	2575	3157	6061	2666	3395

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული იყო გარდაცვალების 3305 შემთხვევა. მოსახლეობის მოკვდავობის სტრუქტურა ძირითადად არ შეცვლილა. მოკვდავობის სტრუქტურაში სტაციონარული მონაცემების მიხედვით, როგორც წინა წლებში ძირითადი ადგილი უჭირავს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებს -38%, მათ შორის: გულის მწვავე ინფარქტი (24%), ცერებროვასკულური ავადმყოფობები 34%; სტაციონარული გარდაცვალების სტრუქტურაში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები 14%-ია, ტრავმები 5%, სუნთქვის ორგანოთა დაავადებები -17%, ნერვული სისტემის დაავადებები 5%, ახალწარმონაქმნი 4%.


გარდაცვლილთა რაოდენობა (აჭარა 2012-2014წწ)

	2012 წ.			2013 წ			2014 წ		
	სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის	
		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი
აჭარა	3224	1322	1902	3139	1295	1844	3305	1309	1996

2014 წელს ბინაზე გარდაცვლილთა რაოდენობამ შეადგინა 1495, მათ შორის 0-15 წლამდე გარდაიცვალა 6 (0,4%), 15-18 წლამდე -1, 18 წლის და მეტი ასაკის გარდაიცვალა 1488 (99,5%) პიროვნება. ბინაზე გარდაცვლილთა მოკვდავობის სტრუქტურაში ძირითადი ადგილი უჭირავს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებს (69%), სიმსივნეებს (14%), ნერვული სისტემის დაავადებებს (3%), სუნთქვის ორგანოების დაავადებებს (4%), სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებებს (2%), ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეულ დაავადებებს (2%). ტრავმებით და მოწამვლებით ბინაზე გარდაიცვალა 20 პიროვნება (1,3%) მათ შორის 0-15 წლამდე ასაკის 2 ბავშვი, 1 - 15-18 წლის და 17 პიროვნება 18 წლის და მეტი ასაკის.

ბინაზე გარდაცვალება, აჭარა, 2014


სულ ბინაზე გარდაიცვალა - 1495



სოციალურად დაუცველი მოსახლეობა

2014 წელს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო სულ 177 986 სოციალურად დაუცველი (43 984 ოჯახი), მოსახლეობის საერთო რაოდენობის 44.5%. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 30 741, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 7.7%. ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობაა - 69 717, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 18%.

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა (01.01.2014 წ.)



მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობა
სარეიტინგო ქულების სხვადასხვა ჯგუფებში (2014 წლის მონაცემებით)

რეგიონი/რაიონი	არ აღემატება 57000	57001- 70000	70001- 100000	100001- 200000	მეტია 200000- ზე	სულ
ბათუმი	6 243	2 958	12 624	16 686	4 082	42 593
ქედა	3 601	2 622	5 847	2 636	89	14 795
ქობულეთი	7 831	4 686	19 633	13 393	1 289	46 832
შუახევი	3 589	2 048	5 784	2 406	57	13 884
ხელვაჩაური	4 753	3 920	16 641	12 031	740	38 085
ხულო	7 263	3 302	8 156	3 007	69	21 797
აჭარა	33 280	19 536	68 685	50 159	6 326	177 986

სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით 2014
წლის მდგომარეობით

რაიონი/რეგიონი	ბენეფიციართა რაოდენობა
ბათუმი	17 926
ქედის რაიონი	2 838
ქობულეთის რაიონი	11 289
შუახევის რაიონი	2 958
ხელვაჩაურის რაიონი	9 135
ხულოს რაიონი	4 547
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	48 873

**სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით
2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით**

რეგიონი რაიონი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი	პოლიტ რეპრესირებულები	სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებები	საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებები	სხვა	სულ
ბათუმი	3 892	859	97	345	122	2	5 317
ქედის მუნიციპალიტეტი	1 029	112	7	24	5	–	1 177
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	3 358	499	62	134	85	–	4 138
შუახევის მუნიციპალიტეტი	1 201	98	12	14	7	2	1 334
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2 868	463	191	126	90	–	3 738
ხულოს მუნიციპალიტეტი	1 954	212	16	10	16	1	2 209
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	14 302	2 243	385	653	325	5	17 913

ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის მიმღებთა რაოდენობა
2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით

რეგიონი/რაიონი	საპენსიო ასაკის პირები	6 წლამდე ასაკის ბავშვები	პირველი ჯგუფის შშმ პირები	შშმ ბავშვები	სტუდენტები	სულ
ბათუმი	17 214	11 269	684	200	3 461	32 828
ქედა	1 831	1 017	53	11	340	3 252
ქობულეთი	8 778	5 214	335	96	1 210	15 633
შუახევი	1 775	914	64	43	389	3 185
ხელვაჩაური	5 522	3 881	251	62	772	10 488
ხულო	2 307	1 421	77	26	500	4 331
აჭარა	37 427	23 716	1 464	438	6 672	69 717

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელი, კადრები და რესურსები

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა:

ჰოსპიტალური სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება:

სამედიცინო ცენტრი/საავადმყოფო – 17 (მ/შორის 13 კერძო),

მ.შ. სამშობიარო სახლი - 1 (კერძო)

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება: – 28 (მ.შ. 19 კერძო)

მ.შ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური –5

სისხლის გადასხმის სადგური შპს „ჰემა–2012“ –1(კერძო)

სადიაგნოსტიკო-სამკურნალო/სადიაგნოსტიკო ცენტრი - 1 (კერძო)

პირველადი ჯანდაცვის ცენტრი _ 51

თემის სამედიცინო პუნქტი _ 184

სტომატოლოგიური პროფილის სამედიცინო დაწესებულება-100 (კერძო)

სულ – 380

№	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის(სახელმწიფო) 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
1	ჰოსპიტალური პროფილის სამედიცინო დაწესებულება: სამედიცინო ცენტრი/სტაციონარი	20	24	23	23	19	5	4	4	4
2	ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები: საოჯახო მედიცინის ცენტრი /პოლიკლინიკა	12	12	12	12	12	4	3	4	4
4	სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი	7	6	6	6	6	2	1	1	5
5	სისხლის გადასხმის სადგური	1	1	1	1	1	1	1	1	–
7	პირველადი ჯანდაცვის ცენტრი	46	46	46	46	47	47	47	46	51
8	თემის სამედიცინო პუნქტი	176	176	177	177	178	182	181	183	184

2014 წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებია:

ჰოსპიტალური სექტორის სამედიცინო დაწესებულება:

სამედიცინო ცენტრი/სტაციონარი 4: – შპს ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო, შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო; შპს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი, შპს ნარკოლოგიური ცენტრი;

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები:

საოჯახო მედიცინის ცენტრი/პოლიკლინიკა 4: – შპს ქ.ბათუმის N1 პოლიკლინიკა, შპს მახინჯაურის მრავალპროფილური პოლიკლინიკა; შპს ბათუმის საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი, შპს თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი;

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი-5;

2014 წლისათვის კერძო სამედიცინო სექტორის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა რაოდენობა (სტომატოლოგიური დაწესებულებების გარეშე) შეადგენს 32, მათ შორის:

სამედიცინო ცენტრი ჰოსპიტალური სერვისის პროფილით – 13:

შპს ჯანმრთელობის ცენტრი- მედინა, სს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი –2010, სს საზღვაო ჰოსპიტალი, შპს ქ.ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის რესპუბლიკური ცენტრი, შპს

უნიმედი აჭარა- ქედის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- შუახევის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ხულოს სამედიცინო ცენტრი, შპს ბათუმის რეფერალური საავადმყოფო, შპს უნიმედი აჭარა- ქობულეთის სამედიცინო ცენტრი, სს ქობულეთის სამედიცინო ცენტრი, შპს აჭარის ონკოლოგიური ცენტრი, შპს კლინიკა „სალვე“; სს ქ.ბათუმის სამშობიარო სახლი – 1.

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები –19:

შპს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი- საგიტარიუსი, შპს პარაცელსი, შპს სანიტასი, შპს კლინიკა „N.G.“, შპს ქ.ბათუმის №4 პოლიკლინიკა, შპს ჩემი ოჯახის კლინიკა, შპს „დეგური მმ“, შპს კანისა და ვენსნეულებათა რეგიონული ცენტრი, შპს დია+, შპს პლასტიკური ქირურგიის ცენტრი, შპს აი ვი ეფ ცენტრი (ინ ვიტრო), სამედიცინო ცენტრი -ვია-ვიტა, შპს ენდოკრინოლოგიური ცენტრი, შპს ინტერმედიკა, შპს კარდიოსერვისი, შპს ხელვაჩაურის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ჩაქვის სამედიცინო ცენტრი, შპს „ჰემა 2012“.

შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი –1.

№	კერძო საკუთრებაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
1	სამშობიარო სახლი	1	1	2	3	6	4	1	1	1
2	ჰოსპიტალური პროფილის სამედიცინო დაწესებულება			1	1	2	10	13	14	13
3	ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულება	2	2	2	2	2	7	7	16	19
4	კერძო სტომატოლოგიური დაწესებულებები	85	89	95	107	120	98	106	106	100

საწოლთა ფონდი 2014 წლის მონაცემებით

	საწოლი	საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვ.	საწოლ დღე	შემოსული პაციენტი	გაწერილი	გარდაცვლილი	დატვირთვა	ბრუნვა	დაყოვნება	ლეტალობა
ბათუმი	909	514	210 153	36 383	35 490	741	231	39	5,9	2
ქობულეთი	123	140	10 337	2752	2643	98	84	21,4	3,9	3
ხელვაჩაური	0	0	0	0	0	0	-	-	-	-
ქედა	20	98	784	374	371	2	39	18,5	2	0,5
შუახევი	20	99	292	191	189	2	14,6	9,5	1,5	1
ხულო	23	70	2048	595	594	1	89	26	3,4	0,1
აჭარა	1095	274	223 614	40 295	39 287	844	204	36	5,7	2


საწოლთა ფონდი (2007-2014წწ)

№	აჭარა	საწოლი	საწოლდღე	გაწერილი	გარდაცვლილი	დატვირთვა	ბრუნვა	დაყოვნება	ლეტალობა
1	2007 წ.	1034	184 105	25 625	524	178,1	25,3	7,0	2,0
2	2008 წ.	1011	190 428	29 744	500	188,3	29,9	6,2	1,6
3	2009 წ.	1 036	178 667	28 476	500	172,4	27,9	6,1	1,7
4	2010 წ.	1076	186 507	30 614	545	173,3	28,9	5,9	1,7
5	2011წ	1025	186847	31520	500	182.2	31.2	5.8	1.5
6	2012 წ.	929	222 157	35 500	594	239,1	38,8	6,1	1,6
7	2013 წ.	1108	201 608	38 587	678	181,9	34,8	5,2	1,7
8	2014წ	1095	223 614	39 287	844	204	36	5,7	2

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჰოსპიტალური საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2014 წელს წინა წლის მაჩვენებელთან (279) შედარებით მცირედით შემცირებულია და 274 შეადგენს. საქართველოს მონაცემებით ჰოსპიტალური საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2013 წელს შეადგენდა 258,5; საწოლზე

დატვირთვის მაჩვენებელი 181,3, აჭარისათვის აღნიშნული მაჩვენებელი კი 2014 წლისათვის 204-ია.

საწოლთა ფონდის დატვირთვა (აჭარა, 2007-2014წწ)




საწოლთა ფონდი ზოგიერთი პროფილის მიხედვით, აჭარა, 2014 წ.

პროფილი	საწოლთა რაოდენობა	გაეწერა	გარდაიცვალა	საწოლდღე	დატვირთვა	ბრუნვა	დაყოვნება	ლექტალობა
თერაპიული	80	3925	59	16117	201	49	4,1	1,5
კარდიოლოგიური	38	2878	24	6654	175	76	2,3	0,8
ინფექციური (მოზრდილები)	27	322		2080	77	12	6,4	–
ინფექციური (ბავშვთა)	29	855		2637	91	29	3	–
ქირურგია (მოზრდილები)	152	5771	48	27265	179	38	4,7	0,8
ქირურგია (ბავშვები)	21	1242		4201	200	59	3,3	–

ნეიროქირურგია	24	626	3	3124	130	44	4,9	0,4
ორთოპედია-ტრავმატოლოგია	14	448	1	2020	144	32	4,5	0,2
მელოგინეთა და მშობიარეთა (ახალშობილთა)	155	6374	2	30001	193	41	4,7	0,03
გინეკოლოგიური	60	3795		7655	127	63	2	–
ტუბერკულოზი	35	240	4	12492	366	6,8	52	1,6
ფსიქიატრიული	150	478	5	51944	346	3	108	1
პედიატრიული	63	3799		16895	268	60	4,4	–
რენიმაცია მოზრდილებისათვის	53	937	588	5569	105	17	5,9	62
უროლოგია	15	525		2028	135	35	3,8	–

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემაში ერთ საწოლზე ექიმების საშუალო რაოდენობა 1,1 (გარდა ექიმ-სტომატოლოგისა), ხოლო ექთნების 1,32 (საქართველოში ექიმის საშუალო რაოდენობა 1-ს აღემატება), საშუალო ევროპული მაჩვენებელია ერთ საწოლზე 0,6 ექიმი. ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედგენს 386,6 (საქართველოს მაჩვენებელია 456,3), საშუალო სამედიცინო პერსონალის უზრუნველყოფის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე) შეადგენს 359,8 საქართველოს მაჩვენებელია 407,1.

**სამედიცინო პერსონალით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლები, აჭარა,
2000-2014**




ექიმების შეფარდება საშუალო სამედიცინო პერსონალთან არის 1/1,07 (საქართველოს მაჩვენებელია 1/1,6), რაც გაცილებით ნაკლებია ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულია შეფარდება 1/4.

რეგიონში ექიმების გადანაწილება არათანაბარია. ქ.ბათუმში ექიმების უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე შედგენს 700,(ქობულეთში-170, ხელვაჩაური-90, ქედა-200, შუახევი-150, ხულო-140.) რაც საგრძნობლად მეტია სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით.ეს განპირობებულია ქ.ბათუმში ჰოსპიტალური სექტორის, სპეციალიზირებული კლინიკების კონცენტრაციით, რომლებიც ემსახურებიან მთლიანად აჭარის ა.რ. მოსახლეობას.

პერსონალის განაწილება ადმინისტრაციულ/ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

(აჭარა, 2014)




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექიმების 15% (228) 60 წლის და მეტისაა (საქართველოს მონაცემია 15%-ზე მეტი), აჭარის მაღალმთიან და დაშორებულ რაიონებში ჯარბობს ახალგაზრდა სპეციალისტების რაოდენობა.

ექიმთა ასაკობრივი სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით


მუნიციპალიტეტის დასახელება	ექიმთა რაოდენობა სულ	მ.შ.სტომატოლოგი	60 წლის ზემოთ	%
ბათუმი	1237	244	188	15
ქობულეთი	143	29	28	20
ხელვაჩაური	53	3	4	8
ქედა	39	8	2	6
შუახევი	30	3	3	10
ხულო	43	2	3	7
აჭარა	1545	289	228	15

ექიმთა ასაკობრივი სტრუქტურა (აჭარა,
2014წ)



საექიმო კადრების გადანაწილება სპეციალობების მიხედვით (2014წ.)

სულ - 1545



ექიმ-სპეციალისტთა რაოდენობა 2010–2014 წლებში, აჭარა

ექიმი სპეციალისტი	2010 წ	2011 წ	2012 წ	2013 წ	2014წ
თერაპევტი	78	77	105	90	108
კარდიოლოგი/კარდიოქირურგი	36	42	57	67	75
ენდოკრინოლოგი	17	19	32	34	33
ქირურგი	62	67	67	67	71

ანესთეზიოლოგი/რეანიმატოლოგი	54	48	47	61	66
მეან-გინეკოლოგი	118	125	127	132	138
პედიატრი	86	46	68	57	60
ნევროპათოლოგი	42	48	44	46	49
აჭარის არ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმი	90	98	104	104	–
ქ.ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმი	–	–	–	–	52
სტომატოლოგი	124	167	281	309	289
სხვა	553	670	608	598	604
სულ	1260	1407	1540	1565	1545

აჭარის მუნიციპალური სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრების საქართველოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დაქვემდებარებაში გადასვლასთან დაკავშირებით სამედიცინო კადრებში 2014 წლისათვის გარკვეული ცვლილებები მოხდა.


სამედიცინო მომსახურება

2014 წლის განმავლობაში ამბულატორიულ-პოლიკლინიკური სამსახურებისა და სოფლის ექიმების მიერ რეგისტრირებულია დაავადებათა 394 909 შემთხვევა (2013 წელს დაფიქსირებული იყო 300 834 შემთხვევა, ხოლო 2012 წელს 243 150) პრევალენტობის მაჩვენებელი 98 817, მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 173 238 (2013 წელს დაფიქსირებული იყო 137 207 შემთხვევა, ხოლო 2012 წელს - 106 242) ინციდენტობის მაჩვენებელი 43 349. 2014 წელს აჭარის რეგიონში ზოგადი პრევალენტობის და ინციდენტობის მაჩვენებლები ხასიათდება ზრდის ტენდენციით, რაც განაპირობა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდამ.

2014 წელს 0-15 წლის ბავშვებში რეგისტრირებული იყო 65 522 დაავადების შემთხვევა (პრევალენტობა - 86 299), მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 45265 (ინციდენტობა - 59 618). ინციდენტობა მაღალია დაავადებათა შემდეგ კლასებში: სუნთქვის ორგანოთა დაავადებები (23 154 შემთხვევა, ინციდენტობა 30 496), ინფექციური და პარაზიტული დაავადებები (6 709 შემთხვევა, ინციდენტობა-8836), საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები (2376 შემთხვევა, ინციდენტობა 3129). 5 წლამდე ასაკის ბავშვებში აღრიცხულია დაავადების 20 188 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა - 69217). 1 წლამდე ასაკის ბავშვებში

აღრიცხული იქნა დაავადების 7113 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა - 117 356), ორივე ასაკობრივ ჯგუფში მაღალი ინციდენტობით ხასიათდება სასუნთქი სისტემის დაავადებები.

პოლიკლინიკური დახმარება (სულ დაავადებები), აჭარა 2001-2014წწ




2014 წელს სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა სულ იყო 824 214 (მათ შორის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში - 283 090, ფიზიკურ პირებთან - 141 385, სტაციონარებში - 323 723, სტომატოლოგიური პოლიკლინიკები - 76 016), ერთ სულ მოსახლეზე იყო 2,07. პირველადი ჯანდაცვის ექიმების მიერ 35 669 პაციენტი გამოსაკვლევად გაგზავნილი იქნა პოლიკლინიკებში, 380 პაციენტი - დისპანსერებში, 1862 სტაციონარში.

2014 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტაციონარებში სამკურნალოდ შემოვიდა 40 295 ავადმყოფი. უკანასკნელ წლებში აღინიშნება ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლის ზრდა. საანგარიშო წელს ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე შეადგენს 10 082 (2013 წლის მაჩვენებელია - 9920, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელია 9214). პაციენტთა მიერ გატარებული საწოლდღეების რაოდენობამ 11%-ით მოიმატა და 223 614 შეადგინა (2013წ. - 201 608). 2014 წელს საწოლთა ფონდის გამოყენების მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით მომატებულია: საშუალო დატვირთვა - 204 (2013 წელი 182, 2012 წლის მაჩვენებელი 239), ბრუნვა - 36 (2013 წელი - 34,8; 2012 წლის მაჩვენებელი 39,1) და საწოლზე დაყოვნება 5,7 (2013 წელი - 5,2; 2012 წლის მაჩვენებელი 6,1). დატვირთვისა და დაყოვნების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ფსიქიატრიული და ტუბერკულოზის პროფილის საწოლები.

საანგარიშო წელს სტაციონარებიდან გაეწერა 39 287 ავადმყოფი. სტაციონარში გარდაიცვალა 844 ავადმყოფი. ლეტალობის მაჩვენებელმა 2014 წელს 2 შეადგინა (2013 წლის მაჩვენებელია 1,7) სტაციონარიდან გაწერილი ავადმყოფების საერთო რაოდენობიდან 17% (6717) 0-15 წლამდეა,

აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფისათვის ლეტალობა 0,9%, 31%-ს (2074) 0-1 წლამდე ასაკის ბავშვები შეადგენენ (ლეტალობა 2,6%). დაავადებათა კლასების მიხედვით საავადმყოფოდან გასული ავადმყოფებიდან 25,3% ორსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის ხანის, 17% სუნთქვის ორგანოთა, 12,6 % სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების კლასების დიაგნოზით არის გასული.

სტაციონარიდან გასული ავადმყოფები დიაგნოზების მიხედვით (2014წ)




საანგარიშო წელს სტაციონარიდან გაეწერა 6717 ბავშვი (ჰოსპიტალიზაციის დონე 1000 ბავშვზე უდრის 74,3). მათ შორის ერთ წლამდე ასაკის 2074, (ჰოსპიტალიზაციის დონე 1000 ბავშვზე შეადგენს 342). ერთ წლამდე ასაკის ბავშვების ჰოსპიტალიზაციის დონე მაღალია სასუნთქი სისტემის დაავადებების (175 - 1063 შემთხვევა), პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილი ცალკეული მდგომარეობების (88 –534 შემთხვევა) და ინფექციური და პარაზიტული დაავადებების (46 – 279 შემთხვევა) კლასებში. აჭარის ჰოსპიტალურ სექტორში აღირიცხა 0-15 წლამდე ასაკის 65 გარდაცვლილი ბავშვი, აქედან 0 – 1 წლამდე ასაკის 54. რაც შეადგენს 0-15 წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა (65) - 83%-ს.

2014 წელს სტაციონარებში ჩატარებულია 16 178 ოპერაცია, (2013 წელს - 13 340 ოპერაცია) ჩატარებული ოპერაციების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე შეადგენს 4048 (2013 წლის მაჩვენებელია 3362) 15 წლამდე ასაკის მოსახლეობაში ჩატარებულია 904 ოპერაცია (მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 1190). ოპერაცია გაუკეთდა 18 576 ავადმყოფს, მათ შორის 1311 ბავშვს. გარდაიცვალა 11 ნაოპერაციები ავადმყოფი (2013 წელს გარდაიცვალა 19) ლეტალობის

მაჩვენებელია 0.05% (2013 წელს ლეტალობის მაჩვენებელი იყო 0,16%). ჩატარებული ოპერაციების 45,4% შარდსასქესო სისტემის დაავადებებზე მოდის (მათ შორის 72% სამეანო გინეკოლოგიურ დაავადებებს უჭირავს), 13% საჭმლის მომნელებელი სისტემის და მუცლის ღრუს ორგანოებზე ჩატარებული ოპერაციებია. 2014 წელს ჩატარდა 5139 გადაუდებელი ოპერაცია (2013 წელს - 3511) რაც სტაციონარში ჩატარებული ოპერაციების 32% შეადგენს. სტაციონარული ოპერაციების 93% - ქ.ბათუმზე მოდის, 5,2% - ქობულეთის, 0,04% - შუახევის, 0,8% - ქედის, 0,9% - ხულოს მუნიციპალიტეტებზე მოდის.

ოპერაციების პროცენტული გადანაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით



2014 წლიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 5 სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ქალაქ ბათუმში, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში. (საქართველოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დაქვემდებარებაშია მუნიციპალური სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრები).

ქ.ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი მოსახლეობას ემსახურება 52 ექიმით, საშუალო სამედიცინო პერსონალი 52, სხვა დანარჩენი 79. გამსვლელი ბრიგადების რაოდენობა 13. შესრულებულია 84 688 გასვლა, დახმარება აღმოუჩინეს 82 457 პირს, მათ შორის 8527 სოფლის მცხოვრებს. 15 წლამდე ასაკის კონტინგენტთან 6106 გამოძახება შესრულდა. სამედიცინო დახმარების საერთო რიცხვიდან სახელმწიფო სტანდარტებით დახმარება გაეწია 80 930 პირს. ჰოსპიტალიზაცია ჩატარდა 20 713 შემთხვევაში.

ონკოლოგია

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად მსოფლიოში სიმსივნით 11 მილიონი ახალი შემთხვევის დიაგნოსტიკა ხდება და ლოკალიზაციის მიხედვით საშუალოდ ყოველწლიურად 1,3 მლნ ადამიანი იღუპება ფილტვის კიბოს დიაგნოზით, 1 მლნ-მდე - კუჭის, 662 ათასი - ღვიძლის, 655 ათასი - სწორი ნაწლავის, 502 ათასი - ძუძუს კიბოთი. სიმსივნეებით ავადობა ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებულია როგორც ევროპის მაღალგანვითარებულ, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. სიმსივნეებითაა გამოწვეული დასავლეთ ევროპაში მოკვდავობის ერთი მესამედი, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში - მეხუთედი, ხოლო დსთ-ს ქვეყნებში - 10%. სიმსივნეებს შორის ავადობის მაღალი ტვირთით გამოირჩევა მამაკაცებში სუნთქვის ორგანოების და ქალებში სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, როგორც მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში რეგისტრირებულია კიბოთი ავადობის მატება.

2014 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით გამოვლინდა 749 შემთხვევა, რაც 2013 წელთან შედარებით 4.4%-ით (716) მეტია, წინა ორი 2012-2013 წლების მონაცემებით ადგილი ჰქონდა ავადობის მატების ტენდენციას: 2013 წელს გამოვლინდა 716 ახალი შემთხვევა, 2012 წელს - 670 ახალი შემთხვევა.

ახალი შემთხვევები 2012-2014 წწ, აჭარა




კიბოს დიაგნოსტიკის დროს ძირითადი ადგილი უჭირავს დაავადების შორსწასულ სტადიებს, როგორც წესი შემთხვევათა 50-60%-ში კიბო ვლინდება დაავადების III-IV სტადიაში. აღნიშნულის გამო ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ავადმყოფთა რადიკალური მკურნალობა, მცირდება მათი განკურნების და სიცოცხლის გახანგრძლივების შანსები და მატულობს სიკვდილიანობა.

2014 წელს ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე იმყოფებოდა 3859 ავადმყოფი (პრევალენტობა 965) გამოვლენილია სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზის 749 შემთხვევა (ინციდენტობა 187), რაც 4.6%-ით მეტია წინა წელთან შედარებით (2013 წელს ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე მყოფი 3480 ავადმყოფიდან ახალ შემთხვევათა წილი შეადგენდა 21%-ს, 716 შემთხვევა). 2014 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი ავთვისებიანი სიმსივნეებით აღრიცხულ ავადმყოფებში 49.6% ქალია (372), 50.3% მამაკაცი (377). 2013 წლისათვის პრევალენტობა ქვეყნის მასშტაბით შეადგენდა 1099–ს, ხოლო ინციდენტობა 414–ს.

2014 წელს ისევ მაღალია დაავადების IV სტადიაში გამოვლენილ შემთხვევათა რაოდენობა 246 შემთხვევა 32.8% (2013 წლისათვის აღნიშნული მონაცემი შეადგენდა 252 - 35%), ონკოლოგიური ავადმყოფების მხოლოდ 46.7% დაუდგინდათ დაავადების I და II სტადია (I სტადია - 108 (14.4%), II სტადია 242 (32.3%)). ხოლო III სტადიის მქონე პაციენტთა (150) ხვედრითი წილი 20% შეადგენდა.

ონკოლოგიური პათოლოგიების (ახალი შემთხვევები) ხვედრითი წილი სტადიების მიხედვით, აჭარა, 2012-2014 წწ



2014 წლის მონაცემებით სიმსივნური დაავადებებით ავადობის სტრუქტურაში I ადგილი უკავია სარძევე ჯირკვლის კიბოს (16%), II ადგილი ადგილი კანის ავთვისებიან სიმსივნეებს (12.1%), III– ფილტვის კიბოს (11.7%), IV ადგილზე – წინამდებარე ჯირკვლის კიბო (5.4%),

კუჭის კიბო (4.1%), საშვილოსნოს ყელის კიბო (3.8%), სწორი ნაწლავის კიბო (3.6%). შარდის ბუშტის (3.4%) და ხორხის კიბო (3.3%).

სიმსივნური დაავადებების გავრცელების თავისებურებები სქესის მიხედვით შემდეგია: ქალებში 34%-სარძევე ჯირკვლის, 19%-სასქესო ორგანოების ავთვისებიან სიმსივნეებზე მოდის. ე.ი. ქალებში ონკოლოგიური ავადობის (სიცოცხლეში პირველად) 53% რეპროდუქციული ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეების წილად მოდის. ავადობის მაჩვენებელი მატულობს ასაკის პროპორციულად, აღნიშნული პათოლოგიებით (2014 წლის მონაცემებით) მაღალი ავადობის ასაკია 45-70 წელი, მ.შ. მაქსიმალური 45-49 წელი (ასაკობრივი ინციდენტი - 17.5).


მამაკაცებში ლოკალიზაციის მიხედვით სიცოცხლეში პირველად დადგენილი სიმსივნეების სტრუქტურაში პირველ ადგილზეა 27.5%-სუნთქვისა და გულმკერდის ორგანოების, მეორე ადგილზე საჭმლის მომნელებელი ორგანოების სიმსივნეები -19.8%, მესამე ადგილზე მელანომა და კანის სხვა ავთვისებიანი სიმსივნეები 14.3%, მამაკაცის სასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები-12.7%. საერთო ჯამში მამაკაცებში ონკოლოგიური ავადობის ნახევარზე მეტი სასუნთქი გზებისა და კუჭნაწლავის სიმსივნეებითაა გამოწვეული (47.3%). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სასუნთქი ორგანოების სიმსივნეებით ავადობის მაღალი მაჩვენებელი 65-69 წლის ასაკზე მოდის (16%).

2014 წელს ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებული ავადმყოფებიდან გარდაიცვალა 370 პაციენტი (9.5%), მათ შორის დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაიცვალა 106 (14%).


სპეციალური მკურნალობა უტარდებოდა ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულ II კლინიკური ჯგუფის 462 ავადმყოფს, მკურნალობა დაამთავრა 389 ავადმყოფმა, ქირურგიული მეთოდით მკურნალობა ჩაუტარდა 153 ავადმყოფს, სხივური მეთოდით 40, მხოლოდ მედიკამენტებით 91 ავადმყოფს.

სტაციონარებში ჰოსპიტალიზირებულია 1419 შემთხვევა.


სარძევე ჯირკვლის კიბოს გავრცელების დინამიკა, აჭარა 2001-2014 წწ



ფილტვის კიბოს ინციდენტობა სქესის მიხედვით, აჭარა 2002-2014 წწ



საშვილოსნოს ყელის სიმსივნეების დინამიკა, აჭარა 2001-2014წწ



დედათა ჯანმრთელობა


საქართველოში არსებული რთული დემოგრაფიული სიტუაციის ფონზე უმნიშვნელოვანესია დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება და მოკვდავობის შემცირება.

2014 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმშობიარა 6407 ქალმა, რაც წინა წელთან შედარებით 471 მშობიარობით მეტია (2013 წ - 5936 მშობიარე), მათგან 6400 ქალმა (99,8%) იმშობიარა სამშობიარო სახლებში, 7 ქალმა (0,1%) ბინაზე. სამედიცინო დაწესებულებებში დაიბადა 6430 ცოცხალი ბავშვი, მათგან 6074 (95%) ახალშობილს ჩაუტარდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრა, ხოლო 6307 (98%) ახალშობილს B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა.

მშობიარობის რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

№	ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულება	მშობიარეთა რაოდენობა			%
			ჰოსპიტალური	ბინაზე	ჯამი	
1	ბათუმი	ბათუმის სამშობიარო სახლი	3130	1	3131	48%
		დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი	251	1	252	3,9%
		ჯანმრთელობის ცენტრი "მედიანა"	796		796	12,4%
		შპს ბათუმის რეფერალური საავ-ფო	750		750	11,7%
		სს საზღვაო ჰოსპიტალი	641	1	642	10%
2	ხელვაჩაური					
3	ქობულეთი	უნიმედი აჭარა-სამედიცინო ცენტრი	352		352	5,4%
		სს სამედიცინო ცენტრი	214		214	3,7%
4	შუახევი	სამედიცინო ცენტრი	26		26	0,4%
5	ხულო	სამედიცინო ცენტრი	186	1	187	2,9%
6	ქედა	სამედიცინო ცენტრი	54	3	57	0,8%
7	აჭარა		6400	7	6407	

მშობიარობათა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, აჭარა, 2014წ




2014 წელს ჩატარდა 2030 საკეისრო კვეთის ოპერაცია (18%-ით ნაკლებია ვიდრე წინა წელს, 2013 წელს - 2457), რაც მშობიარეთა საერთო რაოდენობის 31,6%-ს შეადგენდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ წლიდან წლამდე მნიშვნელოვანია საკეისრო კვეთის ხვედრითი წილი. სასწრაფო საკეისრო კვეთა ჩატარდა 62%-ში (1267), ხოლო გეგმიური (763) 38%-ში. 2013 წელს საკეისრო კვეთათა თანაფარდობა იყო - სასწრაფო - 60,5%, გეგმიური - 39,5%.

ბუნებრივი გზით და საკეისრო კვეთით მშობიარობის პროცენტული შეფარდება

მშობიარობა	2012 წელი		2013 წელი		2014 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ბუნებრივი გზით	3741	65	3479	58,6	4377	68,4
საკეისრო კვეთით	1952	35	2457	41,4	2030	31,6


**ბუნებრივი გზით და საკუთარ კვეთით მშობიარობის პროცენტული შეფარდება
აჭარა, 2014 წელი**



გეგმიური და სასწრაფო საკუთარ კვეთის პროცენტული შეფარდება

საკუთარ კვეთა	2012 წელი		2013 წელი		2014 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
გეგმიური	824	43	979	39,5	763	38
სასწრაფო	1128	57	1488	60,5	1267	62

**გეგმიური და სასწრაფო საკუთარ კვეთის პროცენტული შეფარდება
აჭარა, 2014 წელი**



2014 წელს დაფიქსირდა პერინატალური სიკვდილობის 53 შემთხვევა 1000 საერთო დაბადებულზე მაჩვენებელი - 8,2 (2013 წელს დაფიქსირდა 57 შემთხვევა, მაჩვენებელი - 9,5 2012 წელს- 52, მაჩვენებელი - 9,2;).

2014 წელს 0-6 დღემდე ასაკის 18 ახალშობილი გარდაიცვალა, ადრეული ნეონატალური სიკვდილობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე - 2,8 (2013 წელს გარდაიცვალა 19 ახალშობილი, მაჩვენებელი -3; 2012 წელს გარდაიცვალა 0-6 დღემდე ასაკის 11 ახალშობილი, მაჩვენებელი - 1,9;)

პერინატალური დანაკარგების სტრუქტურული შეფარდება (2012-2014წ)


პერინატალური დანაკარგი	2012 წელი		2013 წელი		2014 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ანტენატალური	35	67,3	36	63	38	63
ინტრანატალური	6	11,5	2	3,5	4	7
პოსტნატალური	11	21,2	19	33	18	30

ორსულობისა, მშობიარობის და აბორტის გართულებებთან დაკავშირებული დედათა მოკვდავობა წარმოადგენს თავისებურ ინდიკატორს, რომელიც ასახავს არა მარტო ორსულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, არამედ ფერტილური ასაკის ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობას მთლიანად.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დედათა გარდაცვალების შემთხვევა მერყეობს 1-3 შორის. დედათა გარდაცვალება არ დაფიქსირებულა 2007, 2010, 2011, 2012 და 2013 წლებში. 2008 წელს დედათა გარდაცვალება შეადგენდა 3-ს.


2014 წელს დაფიქსირდა დედათა გარდაცვალების 3 შემთხვევა, მ.შ. 2-ბათუმისა და 1 შუახევის მუნიციპალიტეტის მკვიდრი. მაჩვენებელი 100 000 ცოცხლადშობილზე შეადგენს 46,6-ს, აღნიშნული მაჩვენებელი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით საქართველოში 2013 წლისათვის შეადგენდა 41-ს.

დედათა გარდაცვალების დინამიკა აჭარა, 2001-2014 წწ



2014 წელს ქალთა კონსულტაციებში აღრიცხვაზე იმყოფებოდა 6535 ქალი, მათ შორის 2014 წელს შემოსული 5224 (2013 - 6881); ორსულთაგან 12 კვირის ორსულობის ვადამდე აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 4597 (88%). კონსულტაციის 4 სრულ ვიზიტზე მიმართა 4873 (94%), რეზუს ფაქტორზე გამოიკვლიეს 5088 (98%), სიფილისზე - 5039 (97%), აივ ინფექციაზე 5048 (97%) ორსული.

ორსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის ხანის გართულებების გამომწვევ დაავადებათა განხილვით ვლინდება, რომ 2014 წელს ანემიათა ხვედრითი წილი შეადგენს - 37%, შარდსასქესო სისტემის დაავადებები 16%, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია 9%, ვენური დარღვევები 10%, ეკლამსია და პრეეკლამსია 8%.




საანგარიშო წელს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებს მიმართა 12 242 (2013 წელს – 6680) პაციენტი. ოჯახის დაგეგმვის პროცესში კვლავ წამყვანი ადგილი უკავია აბორტს, რომლის მხოლოდ აღრიცხული შემთხვევების საერთო რაოდენობამ 2014 წელს შეადგინა 3423 (2013 წელს – 4037,) თვითნებური აბორტის საერთო რაოდენობა – 470 (13,7%), ხელოვნური აბორტი – 2463 (72%), (მათ შორის 1618 „მინი აბორტი“), სხვა და დაუზუსტებელი აბორტი – 490 (14,3%), აბორტების რაოდენობა კვლავ მაღალია, ჯერ კიდევ დაბალია კონტრაცეპტივების მომხმარებელ ქალთა რაოდენობა.

აბორტების პროცენტული გადანაწილება

აბორტები	2012 წელი		2013 წელი		2014 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
თვითნებური	357	10,6	507	12,5	470	13,7
სამედიცინო (ხელოვნური)	2463	73,2	3021	75	2463	72
მათ შორის "მინი"	775	35	1458		1618	

სხვა და დაუზუსტებელი აბორტი	544	16.1	509	12,5	490	14,3
ჯამი	3364		4037		3423	

აბორტების პროცენტული გადანაწილება, აჭარა, 2014წ



ფტიზიატრია

მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზი განკურნებადი დაავადებების რიცხვს მიეკუთვნება, დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი ტუბერკულოზით ინფიცირებულია, ყოველწლიურად კი 8 მილიონზე მეტი ახალი შემთხვევა და 2 მილიონამდე გარდაცვალება რეგისტრირდება. ამიტომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ტუბერკულოზი გლობალურ პრობლემად გამოაცხადა.


საქართველოში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულ **DOTS** სტრატეგიაზე ორიენტირებული მრავალწლიანი სახელმწიფო პროგრამის შექმნამ და დანერგვამ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ერთგვარად მოაწესრიგა. აღინიშნა ტუბერკულოზის კონტროლირებადი ნიშნები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს ექვსი **DOTS** წერტილი. ექვსივე ქ.ბათუმშია განლაგებული.

უშუალო მეთვალყურეობით მკურნალობა **DOTS** წერტილებზე ხორციელდება შემთხვევათა 97%.

მუნიციპალიტეტების დონეზე DOTS ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისა და თემის სამედიცინო პუნქტებში.


2014 წელს რეგიონში რეგისტრირებული იყო ტუბერკულოზის 432 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 108), რაც წინა წელთან შედარებით 63-ით ნაკლებია (2013 წელს აღირიცხა 495 ახალი შემთხვევა); მ.შ. ფილტვის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რაოდენობამ 340 შეადგინა (2012 წელს-ფილტვის ახალი 383 შემთხვევა).

ტუბერკულოზით დაავადებულობის დინამიკა, აჭარა, 2006-2014 წწ




2014 წელს სულ რეგისტრირებული იყო ტუბერკულოზის 561 შემთხვევა (პრევალენტობის მაჩვენებელი 140,3), მ.შ. ფილტვის ტუბერკულოზის 469 შემთხვევა (2013 წელს-659 შემთხვევა). 2014 წელს რეგისტრირებულია ფილტვგარეშე ტუბერკულოზის 92 შემთხვევა, რაც 20-ით ერთეულით ნაკლებია წინა წელთან შედარებით (2013წ-112).

ფილტვარეშე ტუბერკულოზის განაწილება ფორმების მიხედვით (%)




2014 წელს სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფებოდა 269 პაციენტი, მათ შორის მუავაგამძლე ბაქტერია + 172 შემთხვევა დაფიქსირდა.

ბაქტერიაგამომყოფი ფორმების ხვედრითი წილი სტაციონარში, აჭარა, 2014წ



2014 წელს რეგისტრირებული ტუბერკულოზის 561 შემთხვევიდან 40 რეზისტენტული ფორმა დაფიქსირდა (2013 წელს 659 რეგისტრირებული შემთხვევიდან 46 რეზისტენტული ფორმა; 2012 წელს 686 რეგისტრირებული შემთხვევიდან 57 რეზისტენტული ფორმა; 2011 წელს 621 შემთხვევიდან 46 რეგისტრირებული).

რეზისტენტული ტუბერკულოზის გავრცელება აჭარაში, 2009–2014წწ




სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ავადობის ტვირთის შეფასებისას ევროპის რეგიონში, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები პირველ ადგილზეა, მსოფლიო მოსახლეობის ავადობის სტრუქტურაში გულსისხლძარღვთა დაავადებებს წამყვანი ადგილი უჭირავს (მოსახლეობის 20%).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2014 წელს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 48 005 შემთხვევა (არაჰოსპიტალური) (2013 წელს - რეგისტრირებული იყო 36 216 ავადმყოფი, 2012 წელს - 32975 ავადმყოფი), გასული წლის მონაცემთა შედარებით დაფიქსირდა მატება 32%-ით. პრევალენტობა შეადგენს 12012. სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 11 148 პაციენტი, ინციდენტობა კი 2790, მათ შორის 11 ბავშვი, ინციდენტობის მაჩვენებელი 14 (100 000 მოსახლეზე).


სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების დინამიკა 2001-2014წწ



2014 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულ ავადმყოფთა რაოდენობამ წინა წელთან შედარებით 3275 შემთხვევით მოიმატა და მთლიანად ცხოვრებაში პირველად რეგისტრირებულ ავადმყოფთა 6.4% შეადგინა.


გულსისხლძარღვთა სისტემის რეგისტრირებული დაავადებების სტრუქტურაში აღირიცხა სულ 48 005 შემთხვევა, მ.შ. 58.77 % უკავია ჰიპერტონულ, 24,5%-გულის იშემიურ, 1.0% რევმატიული დაავადებებს. გულის იშემიური დაავადების შემთხვევების შორის - 7.4% გულის მწვავე ინფარქტია, 35.5% სტენოკარდია.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სტრუქტურა აჭარაში, 2014წ



რეგიონის სტაციონარებში სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით 4940 ავადმყოფი დარეგისტრირდა (შეადგინა 13 909 საწოლდღე), აქედან 293 გარდაიცვალა (ლეტალობის მაჩვენებელი - 5.9). არტერიული ჰიპერტენზიით გატარდა 231 ავადმყოფი (417 საწოლდღე), სტენოკარდია დაუდგინდა 1504 პაციენტს (3121 საწოლდღე), აქედან გარდაიცვალა 5 ავადმყოფი (ლეტალობის მაჩვენებელი - 0.1, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 1.7%). მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით დარეგისტრირდა 936 ავადმყოფი (2687 საწოლდღე), გარდაიცვალა 69 (ლეტალობის მაჩვენებელი 1,3 გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 23.5%). გულსისხლძარღვთა სისტემის სხვა დაავადებებით (დილატაციური და ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია, გულის მწვავე უკმარისობა) რეგისტრირებულია 1212 ავადმყოფი (3480 საწოლდღე), გარდაიცვალა 72 (ლეტალობის მაჩვენებელი - 1.4%, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 24.5%), გულის ქრონიკული იშემიური დაავადებით რეგისტრირდა 77 ავადმყოფი (297 საწოლდღე) გარდაიცვალა 6 (ლეტალობის მაჩვენებელი - 0.12, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 2%). ცერებროვასკულარული დაავადებები -სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, ინტრაცერებრული და სხვა ინტრაკრანირი არატრავმული სისხლჩაქცევები, თავის ტვინის ინფარქტი - 163 შემთხვევა (საწოლდღე -622) 98 გარდაცვალება (ლეტალობა 2.7; გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 33.4%).

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და გარდაცვალების მიზეზები სტაციონარებში, აჭარა, 2014 წელი



გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკა და მათ მიერ გამოწვეული მოკვდავობა მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით, რაც ჯანდაცვის სამსახურების ხარისხიან მუშაობაზე ნაკლებად არის დამოკიდებული.

ენდოკრინოლოგიური დაავადებები


მთელს მსოფლოში, მათ შორის საქართველოშიც ფიქსირდება ენდოკრინულ დაავადებათა ზრდის ტენდენცია. ენდოკრინოპათიების სოციალური და სამედიცინო მნიშვნელობა მდგომარეობს საბიუჯეტო სახსრების ზრდაში ავადობის ზრდასთან ერთად. ეს განპირობებულია იმით, რომ ავადმყოფები (შემთხვევათა უმეტესობაში) საჭიროებენ სპეციფიურ მედიკამენტებს, მთელი ცხოვრების მანძილზე ჩანაცვლებით ჰორმონალურ მკურნალობას, სპეციფიურ საკვებ პროდუქტებს.

2014 წლის მონაცემებით აჭარაში რეგისტრირებულია 31 912 პაციენტი (2013 წ-22 953 პაციენტი; 2012 წ-18 368). პრევალენტობის მაჩვენებელი 7985 (2013წ პრევალენტობის მაჩვენებელია 5785; 2012 წ – 4664), მათ შორის ცხოვრებაში პირველად გამოვლენილი დიაგნოზით

8001 (2013 წლისათვის ახალ შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა 5247; 2012 წელს – 3451) ინცინდენტობის მაჩვენებელია 2002 (ინცინდენტობის მაჩვენებელი 2013 წლისათვის 1322, 2012 წ–876).

ენდოკრინოლოგიური პათოლოგიების სტრუქტურა 2014 წელს განაწილებულია შემდეგი სახით: იოდდეფიციტური დაავადებები ჰიპოთირეოზით-21,4%, ფარისებრი ჯირკვლის თირეოტოქსიკოზით მიმდინარე დაავადებები-5,9%, თირეოიდიტი 6,3%, შაქრიანი დიაბეტი (ტიპი 1), ინსულინდამოკიდებული-12%, შაქრიანი დიაბეტი, ტიპი 2, ინსულინდამოუკიდებელი-33,3%;

ენდოკრინოლოგიური პათოლოგიები, აჭარა, 2014 წელი



ენდოკრინული დაავადებების სტრუქტურა, პრევალენტობა, ინციდენტობა

ნოზოლოგიები	2012				2013				2014			
	აბალი შემთხვევები	სულ	ინციდენტობა	პრევალენტობა	აბალი შემთხვევები	სულ	ინციდენტობა	პრევალენტობა	აბალი შემთხვევები	სულ	ინციდენტობა	პრევალენტობა
ჰიპოთირეოზით მიმდინარე იოდდეფიციტური დაავადებები	952	3910	241,7	992,9	1349	4142	340	1043	2303	6833	576	1710
კვანძოვანი ჩიყვი	607	607	154,1		354	354	89		689	689	172	
თირეოტოქსიკოზით მიმდინარე ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები	222	1008	56,4	255,9	288	1143	72,5	288	472	1880	118	470
შაქრიანი დიაბეტი, ინსულინ-დამოკიდებული	200	2629	50,8	667,6	247	2961	62	746	361	3828	90	958
შაქრიანი დიაბეტი, ინსულინ-დამოუკიდებელი	739	7486	187,7	1901,1	790	8875	199	1886	1035	10507	258	2629


აღსანიშნავია, რომ შაქრიანი დიაბეტით რეგისტრირებულ პაციენტების რაოდენობა რეალურ შემთხვევათა 2/3-ს შეადგენს და პირველად დგინდება უკვე განვითარებული შაქრიანი დიაბეტის

გართულებების ფონზე: მიკრო-მაკროანგიოპათია (ინსულტი, ინფარქტი), პოლინეიროპათია, დიაბეტური ტერფი, ნეფროპათია, რეტინოპათია და სხვა.


სასუნთქი ორგანოების დაავადებები

2014 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასუნთქი ორგანოების დაავადების დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 71 794 შემთხვევა, დაავადებიათობის მაჩვენებელი - 17 965 (2013 წელს - 62 728 შემთხვევა, პრევალენტობა 15 810; 2012 წელს 51 886 შემთხვევა, პრევალენტობა - 13 176), მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 40641, რაც რეგისტრირებული დაავადებების 56,6 % შეადგენს, ინციდენტობის მაჩვენებელი - 10170 (2013 წელს - 36 409 შემთხვევა, ინციდენტობა - 9 176; 2012 წელს - 30 394 შემთხვევა, ინციდენტობა - 7718). 15 წლამდე ასაკის ბავშვებში რეგისტრირებული იყო სასუნთქი ორგანოების დაავადებების 32 837 შემთხვევა, ავადობის საერთო მაჩვენებელი ამ ასაკობრივ ჯგუფში - 37 678 (2013 წელს 32 596 შემთხვევა; 2012 წელს 28 247 შემთხვევა), (2013 წლის დაავადებიათობის მაჩვენებელი - 44 048, 2012 წლის დაავადებიათობის მაჩვენებელი - 38958,7), მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით - 23 154 (2013 წელს - 22 116; 2012 წელს - 17 117), ავადობის მაჩვენებელი 30 496 (2013 წლის მაჩვენებელი - 29 886; 2012 წლის მაჩვენებელი - 22003,2). სასუნთქი ორგანოების დაავადების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს ზედა სასუნთქი გზების მწვავე დაავადებებს (53,8%), პნევმონიებს (4,5 %), ქრონიკულ და დაუზუსტებელ ბრონქიტებს (2,5%), ასთმას და ასთმურ სტატუსს (2,1%).

სასუნთქი სისტემის დაავადებების პროცენტული გადანაწილება, აჭარა, 2014წ



სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობების დინამიკა 2001-2014წწ




სასუნთქი ორგანოების დაავადების დიაგნოზით რეგიონის სტაციონარებში მკურნალობდა 7112 ავადმყოფი (2013 წელს 6716). აქედან 3728 ბავშვი, მათ შორის ერთ წლამდე ასაკის - 1063. სასუნთქი ორგანოების დაავადების დიაგნოზით სტაციონარებში გარდაიცვალა სულ 149 (2013წ- 117) ავადმყოფი (ლეტალობა - 2), მათ შორის 0-1 წლამდე - 3. პნევმონიით - 47 (ლეტალობა - 0,6), ფილტვის სხვა ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები 9 (ლეტალობა - 0,12).

ასთმა ჯანდაცვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში, დღეისათვის ასთმით დაავადებულია მთლიანი პოპულაციის 5%.

2014 წელს რეგიონში ბრონქული ასთმის დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 1514 ავადმყოფი (2013 წელს -1321), დაავადების მძიმე ეტაპი - 379, ასთმის დიაგნოზი სიცოცხლეში პირველად დაუდგინდა 266 ავადმყოფს (2013 წელს- 193) ინციდენტობა - 67.

ბრონქული ასთმის დინამიკა 2001-2014 წწ




ბრონქული ასთმის დიაგნოზით სტაციონარში გატარებული იყო 21 ავადმყოფი, გატარებული საწოლდღეების რაოდენობაა 41.

ნერვული სისტემის დაავადებები

2014 წელს ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულია 6206 პაციენტი, ინციდენტობა 1553; 2013 წელს იგივე მონაცემი შეადგენდა 3125 შემთხვევას, ავადობის მაჩვენებელი 787,6; 2012 წელს – 2407 შემთხვევას, ავადობის მაჩვენებელი 611. 2014 წელს აღირიცხა ნერვული სისტემის დაავადებების 21 511 შემთხვევა, პრევალენტობა 5383.

ნერვული სისტემის დაავადებების დინამიკა




15 წლამდე ასაკში რეგისტრირებული შემთხვევებიდან პირველადია 680, ინციდენტობის მაჩვენებელი 896.

ნერვული სისტემის დაავადებებში წამყვანი ადგილი უჭირავს პერიფერიული ნერვული სისტემის ავადმყოფობებს - ამ დიაგნოზით 2014 წლის განმავლობაში აღრიცხულია 7936 შემთხვევა, მათგან პირველად ცხოვრებაში დიაგნოსტირებულია 3062 (საერთო რაოდენობის 49,3%) შემთხვევა (ინციდენტობა - 766), მ.შ. ეპიზოდური და პაროქსიზმულ დარღვევები - 1540 შემთხვევა (ინციდენტობა - 385), რაც პირველადი პათოლოგიების 24,8%-ს შეადგენს, ექსტრაპირამიდული და მოძრაობის სხვა მოშლილობები -241 შემთხვევა (ინციდენტობა - 60),

საერთო რაოდენობის 3,8%, ცხოვრებაში პირველად დიაგნოსტირებული ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი დაავადებები–162, საერთო რაოდენობის 2,6% , ინციდენტობა 41.

ნერვული სისტემის დაავადებების (პირველად რეგისტრირებული) პროცენტული გადანაწილება




რეგიონში ნერვული სისტემის დაავადებით სტაციონარებში მკურნალობდა 1458 ავადმყოფი მათ შორის 15 წლამდე ასაკის 52 ბავშვი და მ.შ.1 წლამდე – 2 (2013 წელს - 1108 ავადმყოფი, მათ შორის 68 ბავშვი, 1 ბავშვი 0-1 წლამდე). მათ მიერ ჰოსპიტალში გატარებული საწოლდღეები შეადგენს 7054, გარდაიცვალა 42 ავადმყოფი (ლეტალობა - 2,8). ეპიზოდური და პაროქსიზმული დარღვევებით სტაციონარში იმკურნალა 1316–მა პაციენტმა, გარდაიცვალა 31 (ლეტალობა - 2,1%), პერიფერიული ნერვული სისტემის ავადმყოფობებით მკურნალობდა 27 ავადმყოფი (გატარებულია 110 საწოლდღე).

საჭმლის მომნელებელი სისტემა

2014 წელს საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 25 325 ავადმყოფი, დაავადებიანობა 100 000 მოსახლეზე - 6337 (2013 წელს რეგისტრირებული იყო 22 943, 2012 წელს - 21 633). სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულია 12 515 ავადმყოფი, ინციდენტობა 3132 (2013 წელს შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა 12 725, ავადობა -3207; 2012 წელს შემთხვევები – 10 831, ავადობა - 2729). რეგისტრირებული შემთხვევებიდან - 3627 ბავშვებშია აღრიცხული, პრევალენტობა 4777 (2013 წელს აღირიცხა 3138 შემთხვევა პრევალენტობა - 4240; 2012 წელს აღირიცხა 3215 შემთხვევა


პრევალენტობა - 4434), აქედან 2379 სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით, ინციდენტი 3133 (2013 წელს იგივე მონაცემი - 1855 შემთხვევა, ინციდენტობა - 2506; 2012 წელს - 1674 შემთხვევა, ინციდენტობა - 2308).

საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებათა დინამიკა 2001-2014წწ



საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებების ნოზოლოგიებში მაღალია პირის ღუს, სანერწყვე ჯირკვლებისა და ყბების ავადმყოფობები- შემთხვევათა 38,9%, გასტრიტი და დუოდენიტი 16,7%, ნაღვლის ბუშტის, სანაღვლე გზებისა და პანკრეასის ავადმყოფობები 14,2%, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებულების 8,2% ხვედრითი წილი.

საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებების პროცენტული გადანაწილება, აჭარა 2014 წელი



2014 წელს რეგიონის სტაციონარებში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადების დიაგნოზით მკურნალობდა 3703 ავადმყოფი, მათ შორის 305 ბავშვი (8,2%), გარდაიცვალა 114.

სტაციონარში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების 17,7% ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების ავადმყოფობებზე მოდის (ჰოსპიტალიზირებულია 654 ავადმყოფი), თიაქარით ჰოსპიტალიზირებულია 987 ავადმყოფი, რაც შეადგენს 26,7%;

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, აჭარა 2014წ


დაავადება	ჰოსპიტალური პაციენტების რაოდენობა				გარდაცვალება		
	სულ	მოზრდილები	15 წლამდე	1 წლამდე	მოზრდილები	15 წლამდე	1 წლამდე
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	3703	3347	305	38	114	0	
მათ შორის: პირის ღრუს, სანერწყვე ჯირკვლებისა და ყბების ავადმყოფობები	118	108	10	1	0		
კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული	294	293	0	0	15	0	
გასტრიტი და დუოდენიტი	7	7	0	0	0		
ჭია ნაწლავის ავადმყოფობები	689	562	95	0	2	0	
თიაქარი	987	825	157	28	2	0	
პერიტონეუმის ავადმყოფობები	75	75	0	0	18	0	
ღვიძლის ავადმყოფობები	92	92	0	0	35	0	
ნაღვლის ბუშტის, ნაღვლის გზებისა და პანკრეასის ავადმყოფობები	884	882	1	0	7		
მ.შ.ქოლელითიაზი, ქოლეცისტიტი	628	628	0	0	5	0	

ტრავმები და უბედური შემთხვევები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ევროპაში მოკვდავობის 10% ტრავმებით არის გამოწვეული. საქართველოში ისევე როგორც ევროპის მთელ ტერიტორიაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას უბედური შემთხვევები და ტრავმები წარმოადგენს, რაც დიდ საზრუნავს უქმნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემას.


2014 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დარეგისტრირდა ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების 12 151 შემთხვევა, პრევალენტობა -3041 (2013 წელს დარეგისტრირდა 6990 შემთხვევა, პრევალენტობა - 1761), მათ შორის 5939 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 1486 (2013 წელს - 3421 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 777,3; 2012 წელს - 3061 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 777,3). 0-15 წლამდე ასაკში რეგისტრირებული იყო 845, პრევალენტობა 1113; (2013 წელს ბავშვებში რეგისტრირებული იყო 1204 შემთხვევა, პრევალენტობა - 1524; 2012 წელს - 699 შემთხვევა, პრევალენტობა - 964.12), მათ შორის 600 ახალი შემთხვევა, ინციდენტი -790 (2013 წელს ინციდენტობამ შეადგინა - 792 , 626 შემთხვევით; 2012 წელს ინციდენტობა - 699 შემთხვევა-507).

ტრავმების დინამიკა, აჭარა 2001-2014 წწ



სხვადასხვა ლოკალიზაციის ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების შემთხვევათა შორის ყველაზე ხშირი იყო ჭრილობების, სისხლძარღვთა დაზიანების, ზედაპირული ტრავმების, დაჟეჟილობებისა და დაჩეჩვილობების შემთხვევები, რამაც ამ კლასის დაავადებების 43,6% შეადგინა. შემდეგ ადგილზე მოდის ზედა და ქვედა კიდურების ძვლების მოტეხილობა 15,5%, ამოვარდნილობები (მოტეხილობების გარეშე), დაჭიმულობები, დამაბულობა 10,4% და სამკურნალო ნივთიერებებით, მედიკამენტებით და სხვა ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლები 0,5%.

ტრავმების პროცენტული გადანაწილება, აჭარა, 2014 წელი



ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედებით სტაციონარში მკურნალობდა 1865 ავადმყოფი, მათ შორის 15 წლამდე ასაკის 150 ბავშვი, გარდაიცვალა სულ 40 ავადმყოფი (ლეტალობის მაჩვენებელი 2,1).

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილს მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა წარმოადგენს.

ფსიქიკური აშლილობები ავადობისა და ინვალიდობის გამომწვევ მიზეზთა შორის წამყვან ადგილს იჭერს. შრომისუუნარობის გამომწვევი ათი ძირითადი დაავადებიდან სავარაუდოდ ხუთი ფსიქიკური აშლილობაა.

რეალურად ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რადგან ფსიქიატრიული სერვისების დაბალი დონე, გეოგრაფიული და ფინანსური ხელმიუწვდომლობა და სტიგმის გამო მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არ მიმართავს ამ სერვისებს. მეცნიერთა აზრითა და სტატისტიკური მონაცემებით 2020 წლისათვის მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა მაჩვენებელი გულის იშემიური დაავადების შემდეგ დეპრესია იქნება.


საქართველოში დღეისათვის ოფიციალურად აღრიცხულია დაახლოებით 100 000 ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანი, ხოლო ფსიქიატრიულ სტაციონარებში იმყოფება საშუალოდ 1200 პაციენტი.

ექსპერტთა შეფასებით საქართველოში სულ მცირე 240 000 ნარკოტიკების მომხმარებელია, რომელთაგანაც სავარაუდოდ 80 000 ნარკოტიკებს ინექციური გზით მოიხმარს, ხოლო ამ უკანასკნელთაგან 30 000 – 35 000 დაავადებულია წამალდამოკიდებულებით, რაც ასევე წარმოადგენს სერიოზულ ფსიქიკურ პრობლემას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2014 წელს რეგისტრირებულია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე 7928 პიროვნება, მათ შორის ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით - 166 (პრევალენტობა 1984, ინცინდენტობა-41,5). ორგანული ბუნების აშლილობებით (მ.შ. ეპილეფსიით) რეგისტრირებულია 1480 ავადმყოფი, მათ შორის ცხოვრებაში პირველად 35 შემთხვევა.

2014 წლის განმავლობაში სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფებოდა 485 ავადმყოფი, მ.შ. ფსიქიკური აშლილობებით (შიზოფრენიით, შიზოტოპური და ბოდვითი აშლილობებით)-378, აფექტური აშლილობით - 19 ავადმყოფი, გონებრივი ჩამორჩენილობით – 28 ავადმყოფი, სიმპტომური აშლილობა გარდაიცვალა - 5 ავადმყოფი (ლეტალობის მაჩვენებელი – 1).


შემთხვევათა განაწილება სტაციონარში, 2014 წ, აჭარა სულ 485



აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით ავადობა

2014 წლის მონაცემთა (22 212) შედარებით გასული წლის იმავე პერიოდთან (17 214) აღინიშნება გადამდებ დაავადებათა რიცხვის მატება 29%-ით.

გადამდებ დაავადებათა ავადობის დინამიკა აჭარა, 2005 წ–2014წ




2014 წლის განმავლობაში ეპიდზედამხედველობის სისტემაში მოექცა და ცენტრის მიერ აღირიცხა ინფექციური დაავადების - 22 212 შემთხვევა. მათ შორის ქ.ბათუმში -11 316 შემთხვევა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში-4145 შემთხვევა, ქობულეთის მუნიციპალიტეტში -4928, ქედის მუნიციპალიტეტში - 682, შუახევის მუნიციპალიტეტში - 499, ხულოს მუნიციპალიტეტში-642.

შემთხვევათა და კვლევათა განაწილება ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, აჭარა, 2014 წელი

ადმინისტრაციულ/ ტერიტორიული ერთეული	რეგისტრირებულ შემთხვევათა საერთო (რ/ზა)		მ.შ. სასწრაფო შეტყობინება იქნა მიღებული შემთხვევაზე (რ/ზა)		ეპიდკვლევას დაექვემდებარა (რ/ზა, ცოფის რისკის მქონე ექსპოზიციის ჩათვლით)	
	რ/ზა	% საერთო რ/ზიდან	რ/ზა	% მ.შ.	რ/ზა	% მ.შ.
ბათუმი	11316	50	2160	19	950	44
ქობულეთი	4928	22	1042	21	378	37
ხელვაჩაური	4145	18	828	19	349	43
ქედა	682	3	109	15	3	3
შუახევი	499	2	107	21	16	15
ხულო	642	3	101	15	20	20
აჭარა	22212		4347	19	1716	40

გადამდებ დაავადებათა შემთხვევების ხვედრითი წილი 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფში - შეადგენს საერთო რაოდენობის 23%, რაც შეესაბამება 5093 შემთხვევას.

გადამდებ დაავადებათა სპექტრი ცალკეული ნოზოლოგიების მიხედვით, აჭარა, 2014 წელი




გადამდებ დაავადებათა სტრუქტურაში 2014 წელს წამყვანია სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა, სპორადული შემთხვევების სახითაა წარმოდგენილი - მენინგოკოკცემია, იმუნიზაციით მართვადი ინფექციები (წითურა, ყბაყურა) გარდა წითელასი, რომლის მიმართაც რეგიონში, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში, 2013 წელს აღინიშნებოდა შემთხვევათა მატება. მიმდინარე წელს კი ფიქსირდება კლების ტენდენცია.

ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა აჭარისათვის შეადგენს 5598;


აჭარის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია მაჩვენებელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმში. აჭარის საშუალო მაჩვენებელთან ახლოსაა ქობულეთში, ხოლო დაბალია - ქედის, ხულოსა და შუაქედის მუნიციპალიტეტებში.

ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა, აჭარა, 2014 წელი



სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა - საანგარიშო წელს აღირიცხა სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 10 392 შემთხვევა, გასული წლის მონაცემთან შედარებით აღინიშნება მატება 1682 ერთეულით.

სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა, შემთხვევათა განაწილება თვეების მიხედვით, აჭარა 2012-2014წწ




დიარეით მიმდინარე შემთხვევების 23% ფიქსირდება 0_14 წლის ასაკობრივ ჯგუფში (2399 შემთხვევა).

მწვავე ვირუსული ჰეპატიტის პირველადი დიაგნოზით დაფიქსირდა 17 B მწვავე ჰეპატიტი, (2013წ- 29), A მწვავე ვირუსული ჰეპატიტის 20 შემთხვევა, გასულ წელთან (7 შემთხვევა) შედარებით

ფიქსირდება მატება 13 ერთეულით, C მწვავე ჰეპატიტი – 0, გასული წელს დაფიქსირებულია C მწვავე ჰეპატიტის 16 შემთხვევა.


A ვირუსული + სხვა მწვავე ვირუსული ჰეპატიტი, შემთხვევათა მრავალწლიანი დინამიკა



ამავე პერიოდში დაფიქსირებულია ქრონიკული B ჰეპატიტი – 518 (2013წ–411), ქრონიკული C – 699 (2013წ – 492) შემთხვევა.


ჩუტყვავილათი ავადობის დინამიკაში ეპიდემიური პროცესის 2-3 წლიანი ციკლორობაა, რაც სპეციფიურია ამ დაავადებისათვის. 2014 წელს დაფიქსირდა 688 შემთხვევა, რაც გასული წლის მონაცემთან შედარებით 44%-ით ნაკლებია (2013წ–1246 შემთხვევა).

ჩუტყვავილას შემთხვევათა განაწილება, აჭარა, 2005წ-2014 წელი



➤ **იმუნიზაციით მართვადი ინფექციები** - 2014 წელს გასულ წელთან შედარებით აღინიშნებოდა წითელას შემთხვევათა კლება 128 ერთეულით. კერძოდ: მიმდინარე პერიოდში ეპიდზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში მოექცა წითელას 68 შემთხვევა მ.შ. ბათუმი–45, ხელვაჩაური–3, ქობულეთი–14, შუახევი–4, ხულო–1, ქედა–1. 2013 წელს –196 შემთხვევა.


წითელას შემთხვევები მუნიციპალიტეტების მიხედვით, აჭარა, 2014 წელი



წითელას 68 შემთხვევიდან ლაბორატორიულად ტესტირებულ იქნა 24 შემთხვევა, დადასტურდა 21, ეპიდკავშირით დადასტურებული 3. ხოლო 44 – სავარაუდო.

რეგისტრირებული შემთხვევებიდან წწყ 1-ით აცრილია–10, წწყ ორივე დოზა მიღებული ქონდა–4-ს, 3 – აუცრელი (უკუჩვენების გამო), 43 –უცნობი (მოზრდილი ასაკის მოსახლეობა), 8 – ასაკობრივად აცრას არ ექვემდებარება.

წითელას შემთხვევები ასაკობრივ ჯგუფში, აჭარა, 2014 წელი



ყბაყურა და წითურა რეგისტრირებულია სპორადული შემთხვევების სახით.

2014 წელს დაფიქსირებულია ყბაყურას 6 შემთხვევა, გასული წლის მონაცემებთან შედარებით აღინიშნება კლება 2 ერთეულით. ასევე კლებაა დინამიკა შეინიშნება წითურას მიმართ. გასულ წელს ფიქსირდებოდა 7 შემთხვევა, ხოლო მიმდინარე წელს კი მხოლოდ 6 შემთხვევაა ფიქსირებული.

ყბაყურას ექვსი შემთხვევიდან 5 აცრილია ასაკის შესაბამისად. 1 აცრილია ერთჯერადად. წითურას 6 შემთხვევიდან ერთის აცრის სტატუსი უცნობია (მოზრდილი). 2 ასაკით არ ექვემდებარება. ხოლო 3 აცრილია ასაკობრივად.


ასევე კლებაა დინამიკა აღინიშნება ყივანახველასთან მიმართებაში, მიმდინარე პერიოდში რეგისტრირებულია დაავადების 17 შემთხვევა, რომელთაგანაც ასაკობრივად აცრილია–7, 3–არასრულად აცრილი, 4–აცრას არ ექვემდებარებოდა, 1 შემთხვევაში აცრის სტატუსი უცნობია (მოზრდილი). 2 აუცრელი. გასული წელთან შედარებით აღინიშნება კლება 10 ერთეულით (27 შემთხვევა).

➤ ტუბერკულოზი

ეპიდზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში მოექცა ტუბერკულოზის 326 შემთხვევა. მ.შ. 204 დარეგისტრირდა როგორც ფილტვის ტუბერკულოზის მგზ დადებითი ფორმა, 105 მგზ უარყოფითი და 17 ფილტვგარეშე ტუბერკულოზის შემთხვევა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით აღინიშნება ტუბერკულოზის შემთხვევათა კლება (2013წ – 416 შემთხვევა).

აღნიშნულ პერიოდში ეპიდკვლევა ჩატარდა მგზ დადებითი ტუბერკულოზის ყველა კერაში, ეპიდკვლევას დაექვემდებარა 625 კონტაქტირებული პირი.


ფილტვისა და ფილტვგარეშე ტუბერკულოზის % განაწილება, აჭარა, 2014 წელი



➤ ლეპტოსპიროზი

მიმდინარე წელს დარეგისტრირდა ლეპტოსპიროზის 45 შემთხვევა. 2013 წლის მონაცემებთან შედარებით აღინიშნება მატება (2013 წელს– 23 შემთხვევა) 22 ერთეულით.

**ლეპტოსპიროზი, შემთხვევათა განაწილება თვეების მიხედვით
აჭარა, 2012-2014 წელი**




მენინგოკოკემია

2014 წელს დაფიქსირდა მენინგოკოკემიის 3 შემთხვევა, 2013 წელს 4 შემთხვევა.

➤ ანტირაბიული მომსახურება

2014 წელს ანტირაბიული დახმარებისათვის სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა 3930 პაციენტმა, რაც 636 ერთეულით მეტია 2013 წლის მონაცემებთან შედარებით (3294).

ანტირაბიული დახმარებისათვის პაციენტთა მომართვიანობა აჭარა 2000-2014წ



ანტირაბიული ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 1102 (31%) პაციენტს, არასრული 2455 (69%), მიმდინარე წელს ვაქცინაცია დაასრულა 3557–მა დაზარალებულმა პაციენტმა, მკურნალობა შეწყვიტა 101–მა. კომბინირებული (იმუნოგლობულინი+ვაქცინა) მკურნალობა დასჭირდა 1048 პაციენტს.

ანტირაბიული კომპონენტის ფაგლებში გაწული მომსაურეობა, 2012–2014 წწ აჭარა

პერიოდი	მომართულთა რაოდენობა	ვაქცინაცია დაასრულა	ცენტრში შემოსული შეტყობინება			ვიზიტი კერაში	ინფორმაცია ვებ-საშუალებებში	კომუნიკაცია ვებ-საშუალებებში
			სულ	მ.შ.შეწყვეტილი	ცხოველში ლაბორ/კლინიკურად ადასტურებული ცოფის შემთხვევა			
2012 წ	2743	2575	648	622	26	223	1425	408
2013 წ	3294	2870	787	761	26	153	1584	397
2014 წ	3930	3557	984	937	47	196	1984	384

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ბიუჯეტი (ნაერთი) - **7.679 059** ლარს შეადგენდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის ბიუჯეტი - **1629 720** ლარს. ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო პროფილაქტიკური პროგრამები - **5 261 380** ლარი, სოციალური დაცვის პროგრამები - **787 959** ლარი.
სულ პროგრამები: - 6 049 339 ლარი.




სამედიცინო მომსახურების მიწოდება (2014 წლის განმავლობაში)

2014 წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით გაიცა ვაუჩერი - 8683 პაციენტზე, მკურნალობა დასრულებული და ანაზღაურებული იქნა 8061 პაციენტზე (93%). (გაუქმდა 622 ვაუჩერი, სხვადასხვა მიზეზის გამო პაციენტმა არ ჩაიტარა სამედიცინო მომსახურება).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა - 7484 პაციენტს (93%) - საქართველოს სხვა კლინიკებში კი- 577 პაციენტს (7%).

■ აჭარის რეგიონში 7484 ■ საქართველოს სხვა რეგიონებში 577



მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა (1 373 500 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი - სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

გაცემულია 1935 ვაუჩერი. დასრულებული და ანაზღაურებულია 1745 პაციენტის მკურნალობის ხარჯები.

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	830	751	609 706
ქობულეთი	411	367	279 444
ხელვაჩაური	359	337	283 272
ქედა	120	105	79 858
შუახევი	79	68	38 054
ხულო	136	117	60 825
სულ	1 935	1745	1 351 158

გულის ქირურგიის ქვეპროგრამა (1 243 800 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – 18-წლის ასაკიდან მოსახლეობის (რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით) კარდიოქირურგიული მკურნალობა, გულის დაავადებების მძიმე ფორმებით გამოწვეული ლეტალობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება.

სულ გაიცა 428 ვაუჩერი. დასრულებული და ანაზღაურებულია 307 პაციენტის მკურნალობის ხარჯები.

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	195	178	519 262
ქობულეთი	101	88	279 350
ხელვაჩაური	92	85	281 874
ქედა	8	7	31 740
შუახევი	13	13	43 568
ხულო	19	16	50 009
სულ	428	387	1 205 803

სახსრების ენდოპროტეზირების ქვეპროგრამა (214 000 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის სახსრების ენდოპროტეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გაცემულია 74 ვაუჩერი. დასრულებული და ანაზღაურებულია 54 პაციენტის მკურნალობის ხარჯები.

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	28	21	79 616
ქობულეთი	19	10	38 312
ხელვაჩაური	14	11	43 712
ქედა	4	4	15 960
შუახევი	1	1	4000
ხულო	8	7	27 960
სულ	74	54	209 561

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის
ქვეპროგრამა(600 000 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გაცემულია 2139 ვაუჩერი დასრულებული და ანაზღაურებულია 2037 პაციენტის მკურნალობის ხარჯები.

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	393	371	111610
ქობულეთი	705	674	184241
ხელვაჩაური	366	341	110203
ქედა	183	177	56605
შუახევი	223	215	62662
ხულო	269	259	73692
სულ	2139	2037	599 014

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა (742400 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმამდელი სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.

სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა 200 846 სოფლის მოსახლეს. პირველადი დახმარების მედიკამენტებზე გაიხარჯა 57 553 ლარი. თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 677 383 ლარი.

სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების ქვეპროგრამა – (270 000 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – საექიმო კადრების სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით. (მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმებისათვის ყოველთვიურად – 300 ლარი, ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 150 ლარი).

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	სოფლის ექიმი	სამედიცინო მომსახურება	
		გატარებული პაციენტების რაოდენობა	ხეფასის დანამატი
ქობულეთი	33	50 325	56215
ხელვაჩაური	31	44 638	110203
ქედა	11	11 384	36 075
შუახევი	11	8332	34 230
ხულო	18	13 036	62 054
სულ	104	127 715	241 851

სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა (190 400 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობის გაზრდის მიზნით მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესებისა და მობილურობის გაზრდის მიზნით განახორციელდა 21 მაღალი გამავლობის ავტომანქანის შეძენა. ქვეპროგრამის დაფინანსება განხორციელდა გაეროს მოსახლეობის ფონდთან ერთად თანადაფინანსების პრინციპით.

თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადების ქვეპროგრამა (19 629 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული ექთნების პროფესიული დონის ამაღლება, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, პრაქტიკული და თეორიული უნარ-ჩვევების დახვეწა, შენარჩუნება და განვითარება.

გადამზადება გაიარა თსკ– ში დასაქმებულმა 228 ექთანმა. (თემატიკა–1. ბავშვთა ასაკის უხშირესი დაავადებათა მართვა საექთნო დონეზე, ბავშვთა კვებისა და განვითარების საკითხები; 2. მოზრდილი მოსახლეობის ქრონიკულ დაავადებათა მონიტორინგი და რეფერალის ჩვენებები).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებისა და სამედიცინო მომსახურებისათვის გამოიყო 496 603 ლარი:

- ა) 74 პაციენტის მკურნალობისათვის – 386 175 ლარი.
- ბ) 4 პაციენტისათვის მედიკამენტის შეძენა – 23 350 ლარი
- გ) 9 ოჯახისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება – 55 073 ლარი.
- დ) 3 გარდაცვლილი მოქალაქის გადმოსვენება საზღვარგარეთიდან – 20 980 ლარი.
- ე) აზერბაიჯანელი ბავშვების სამედიცინო/სარეაბილიტაციო მომსახურება – 11000 ლარი.
(ეკონომია დაფინანსებიდან 25 ლარი)

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით დაფინანსებულები:

- ქ.ბათუმიდან – 35 მოქალაქე – 230 300 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან – 18 მოქალაქე – 101 789 ლარი;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან – 8 მოქალაქე – 28 709 ლარი;
- ქედის მუნიციპალიტეტიდან – 4 მოქალაქე – 8 461 ლარი;
- შუახევის მუნიციპალიტეტიდან – 1 მოქალაქე – 15 000 ლარი;
- ხულოს მუნიციპალიტეტიდან – 24 მოქალაქე – 101 319 ლარი;

სოციალური დაცვის პროგრამები

ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/ რეაბილიტაცია (420 000 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – ბავშვთა ცერებრული დამბლის, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფსიქოსომატური რეაბილიტაციის მიწოდებით (ფიზიკური თერაპია, მეტყველების თერაპია, ექიმის მეთვალყურეობა, ბავშვის და მშობლის ფსიქოლოგიური დახმარება).

- ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 1239 ვაუჩერი, რეაბილიტაციის 1196 კურსი ჩაუტარდა 456 ბავშვს

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	593	579	202 650
ქობულეთი	246	232	81 200
ხელვაჩაური	277	270	94 500
ქედა	40	36	12 600
შუახევი	32	30	10 500
ხულო	51	49	17 047
სულ	1239	1196	418 497

სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია (457 300 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – სქოლიოზით დაავადებული ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების (სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი, ორთოპედის კონსულტაცია, რენტგენოლოგიური კვლევა) დაფინანსება.

- ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 2 868 ვაუჩერი, დაფინანსდა რეაბილიტაციის 2 642 კურსი

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ბათუმი	1 620	1 485	255 561
ქობულეთი	302	277	48 521
ხელვაჩაური	706	661	115 018
ქედა	64	59	10 197
შუახევი	81	75	12 935
ხულო	95	85	14 670
სულ	2 868	2 642	456 902

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია
(18 500 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 45 ვაუჩერი, დაფინანსდა 37 ვაუჩერი რისთვისაც გაიხარჯა 18 500 ლარი.

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	ჩატარებული მკურნალობა	
		რაოდენობა	თანხა
ქობულეთი	11	9	4 500
ხელვაჩაური	4	4	2 000
ქედა	16	11	5 500
შუახევი	12	11	5 500
ხულო	2	2	1 000
სულ	45	37	18 500

**შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების
საშუალებებით უზრუნველყოფა (66 000 ლარი)**

ქვეპროგრამის მიზანი – გადაადგილების პრობლემის მქონე პირთა გადაადგილების საშუალებით სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.

220 ბენეფიციარი დაკმაყოფილდა სავარძელ-ეტლით.

- ბათუმი 83
- ქობულეთი 51
- ხელვაჩაური 57
- ქედა 9
- შუახევი 4
- ხულო 16

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა (88 500 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – სმენადაქვეითებულ პირთა უზრუნველყოფა სმენის აპარატებით, მათი ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

291 ბენეფიციარი დაკმაყოფილდა სმენის აპარატით (9 ბავშვზე გაიცა ორ-ორი აპარატი).

- ბათუმი 131
- ქობულეთი 52
- ხელვაჩაური 59
- ქედა 14
- შუახევი 14
- ხულო 21

ერთჯერადი დახმარების კომპონენტი (29 000 ლარი)
100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარება
(58 000 ლარი)

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა 100 წლის და მეტის ასაკის მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას 1 000 ლარის ოდენობით, მათი ყოფითი და სოციალური პირობების ნაწილობრივ გაუმჯობესებას

დახმარება გადაეცა 58 მოქალაქეს, რისთვისაც გაიხარჯა 58 000 ლარი.

- ბათუმი 8
- ქობულეთი 12
- ხელვაჩაური 5
- ქედა 8
- შუახევი 9
- ხულო 16

ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება
(139 000 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – ახალშობილი ტყუპების ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა თითოეულ ტყუპისცალზე 1 000 ლარის ოდენობით.

დახმარება გადაეცა 69 ოჯახს, რისთვისაც გაიხარჯა 137 000 ლარი.

- ბათუმი 28
- ქობულეთი 18
- ხელვაჩაური 14
- ქედა 3
- შუახევი 2
- ხულო 4

2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა
ოჯახების დახმარება
(78 000 ლარი)

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად, ასევე 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო მისიის შესრულების დროს დაღუპული 19 მეომრის დედებისა და მეუღლეებისათვის დედის დღესთან და ქალთა საერთაშორისო დღესთან

დაკავშირებით თითოეულისათვის 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო აგვისტოს ომის წლისთავზე ოჯახებისათვის 3 000 ლარის ოდენობით დახმარების გაწევას.

დახმარება გადაეცა ომში დაღუპულთა დედებსა და მეუღლეებს, რისთვისაც გაიხარჯა 21 000 ლარი, ასევე მეომრების ოჯახებს, რისთვისაც გაიხარჯა 57 000 ლარი.

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა (96 959 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი იყო მიუსაფარ დედათა და ბავშვთა უზრუნველყოფა დროებითი 24 საათიანი თავშესაფრით და უსაფრთხო გარემოთი, ბენეფიციართა ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება, სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, მათი სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობა.

თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 24 ბენეფიციარმა (11 დედა და 13 ბავშვი), რაზედაც გაიხარჯა 96 866 ლარი.

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ცენტრის ნაერთი ბიუჯეტი 2014 წლისათვის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად შეადგენდა 773 288 ლარს, მათ შორის ქვეპროგრამის „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ბიუჯეტი – 351 548 ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ნაერთი ბიუჯეტი 2014 წლისათვის

პროგრამა/ღონისძიება	ბიუჯეტი(ლარი)	
	2014 წლის გეგმა	საკასო ხარჯი
სულ ასიგნებები	773 288	748 866
აპარატის ხარჯები	402 600	400 036
ქვეპროგრამა–დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა	351 548	329 279
ღონისძიება–ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა	70 090	67 806

ლონისძიება–მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში	172 583	170 628
ლონისძიება–C ვირუსული ჰეპატიტის დიაგნოსტიკა მოზრდილ მოსახლეობაში	33 999	33 999
ლონისძიება–ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში (სამიზნე ჯგუფი)	49888	32 744
ლონისძიება–კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში	24988	24 102
ცენტრალური პროგრამა ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა	19140	19 551

➤ **ლონისძიება– ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა**

ლონისძიება ითვალისწინებს: გადამდები და პარაზიტული დაავადებების შემთხვევების /ეპიდაფეთქებების ადრეულ დიაგნოსტიკასა და მართვას, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დროულ და ადექვატურ მენეჯმენტს, ეპიდაფეთქებათა ლოკალიზაციას. პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმატიულობის ზრდას.

აჭარის ტერიტორიაზე განხორციელდა ეპიდკვლევას დაქვემდებარებულ დაავადებათა 732 კერის (ცოფის ექსპოზიციის გარდა) კვლევა შესაბამისი 804 ვიზიტით: მათ შორის ბათუმში–476, ქობულეთში –135, ხელვაჩაურში–172, ქედაში–3, შუახევში–8, ხულოში –10.

➤ **ანტირაბიული ღონისძიებები**

ცოფისა და ცოფზე საექვო ცხოველის მიერ დაზარებულ კერაში განხორციელდა 580 ვიზიტი; აქედან ცოფის კერაში –196, ხოლო ვეტსამსახურში კი 384 საკომუნიკაციო ვიზიტი; აღნიშნული ვიზიტები მუნიციპალურ ჭრილში შემდეგნაირად ნაწილდება: ბათუმი–146, ქობულეთი –256, ხელვაჩაური–27, ქედა–58, შუახევი–57, ხულო–36. კერაში ვიზიტისას გამოვლიდნენ ის პირებიც, რომლებიც საჭიროებდნენ სასწრაფო პოსტექსპოზიციურ პროფილაქტიკურ მკურნალობას. ანტირაბიული დახმარებისათვის მომართული ყველა პაციენტისათვის მომზადდა და გადაეცათ ანტირაბიული აცრების სამახსოვრო ბარათი.

**გადამდებ დაავადებათა კერებში, (მ.შ. ცოფზე საექვო ცხოველის მიერ დაზარალების) ვიზიტები
ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით
აჭარა, 2014 წელი**

ადმინისტრაციულ/ ტერიტორიული ერთეული	ვიზიტი ცოფზე საექვო ცხოველის მიერ დაზარალებულ კერაში, ვაქცინაციის შეწყვეტილ კერაში	ვიზიტი ვეტსამსახურში	გადამდებ დაავადებათა კერაში ვიზიტი	ჯამი
ბათუმი	84	62	476	622
ქობულეთი	71	185	135	391
ხელვაჩაური	27	0	172	199
ქედა	0	58	3	61
შუახევი	4	53	8	65
ხულო	10	26	10	46
აჭარა	196	384	804	1384

2014 წლის განმავლობაში დაიხარჯა 13 193 კომპლექტი ანტირაბიული ვაქცინა და 2474 კომპლექტი ანტირაბიული იმუნოგლობულინი.

➤ **მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებები**

თებერვალ–მარტის თვეში განხორციელდა მალარიოგენული ტერიტორიების პასპორტიზაცია. აჭარის ტერიტორიაზე აღირიცხა 628,83ა, მ.შ. 511,7 ჰა ანოფელოგენური.

ეპიდსეზონის განმავლობაში გამოკვლეული იქნა სულ 3190,32 ჰა წყალსატევი, მ.შ ანოფელოგენური - 2520,94ჰა.

არღიცხული/გამოკვლეული ტერიტორიის ფართობი, აჭარა, 2014წ

მუნიციპალიტეტი	პასპორტიზაციის შედეგები		სულ გამოკვლეულ ი ფართობი (ჰა)	მ.შ.ანოფელოგენ ური (ჰა)
	სულ არღიცხული ფართობი (ჰა)	მ.შ.ანოფელოგენური (ჰა)		
ბათუმი	129,25	119,1	1247,97	908,89
ქობულეთი	418,5	317,7	738,8	661,2

ხელვაჩაური	63	56,9	1185,5	932,8
ქედა	5,4	5,4	5,4	5,4
შუახევი	8,29	8,29	8,29	8,2
ხულო	4,36	4,36	4,39	4,36
ჯამი	628,8	511,75	3190,35	2520,85

ეპიდსეზონის განმავლობაში გამოკვლეულ იქნა – 288 342 კვ.მ. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი, დეზინსექტანტით დამუშავდა 102 650 კვ.მ დაგამბუხირება– 137,68 ჰა ფართის წყალსატევი.

ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა

➤ თემატურ/საგანმანათლებლო ღონისძიებები:

30 მაისს ჩატარდა კონფერენცია ”იყავი თანამედროვე-აირჩიე ჯანმრთელობა”

28 ნოემბერს –მოსწავლეთა კონფერენცია ”რაც აუცილებლად უნდა იცოდეს”. მონაწილეებს დაურიგდათ სუვენირები, ფლაერები, პოსტერები.

ნარკომანიასთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით არასამთავრობო სექტორისა და ნარკოლოგიური ცენტრის თანამონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა/დისკუსია ქალაქ ბათუმის სკოლების უფროსკლასელებთან, მონაწილეებს გადაეცათ სხვადასხვა სიმბოლური საჩუქრები.

რეგიონის სკოლებსა და ბაღებში ჩატარდა ”ჯანმრთელობის გაკვეთილები”. ამ მიზნით განხორციელდა 270 ვიზიტი, 337 შეხვედრა, 7127 მსმენელი.

მომზადდა ვიდეორგოლები:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის 2014 წლის ღონისძიებები
- რეკომენდაცია მშობლებისათვის
- ფიზიკური აქტივობა
- დიაბეტი
- ალერგიის პრევენცია
- 2014 წლის პროგრამების შეჯამება.

➤ ვაქცინოპროფილაქტიკის ხელშეწყობა

2014 წლის მონაცემებით იმუნიზაციის სამიზნე კონტინგენტის მოცვის მაჩვენებლები სხვადასხვა ანტიგენის მიმართ დიფერენცირებულია ქალაქ ბათუმისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

**იმუნიზაციის 2014 წლის შედეგები ცალკეული ანტიგენისა და
ადმინისტრაციულ/ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით**

ანტიგენი	ადმინისტრაციულ/ტერიტორიალური ერთეული						
	ბათუმი	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო	აჭარა
ჰიბი	98	93	96	99	94	93	96
წყ-1	99	91	96	98	96	97	97
დტ-1	100	100	99	100	97	100	100
დტ	100	100	98	99	100	100	100
ტდ	79	83	98	96	99	93	87
ბც	94	97		96	92	99	94
ოპ-3	97	92	96	98	94	90	95
ოპ-1	95	91	97	98	95	93	95
ოპ-2	94	83	97	99	97	93	93

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ ჩატარდა- ვაქცინოპროფილაქტიკის, ეპიდზედამხედველობის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ხარისხის სრულყოფის, სახელმწიფო პროგრამების ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის, სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ქვეპროგრამის „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ფაგლებში ღონისძიებათა შესრულების 1012 მონიტორინგი.

ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგი, 2014წ

№	მუნიციპალიტეტი	ვაქცინოპროფილაქტიკის– ეპიდზედამხეველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში	ქვეპროგრამის „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ფარგლებში	სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგი (ანტენატალური კომპონენტი, ფ IV– 02, 06)	ჯამი
1	ბათუმი	127	134	135	396
2	ქობულეთი	134	48	7	189
3	ხელვაჩაური	97	9	27	133
4	ქედა	41	42	11	94
5	შუახევი	62	22	33	117
6	ხულო	51	28	4	83
7	ჯამი	512	283	217	1012

- ღონისძიება – „მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში (ჯანსაღი სკოლა) – 2014 წელი

ღონისძიება მოიცავდა:

- ექიმ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აჭარის სკოლების 1-8 კლასის მოსწავლეთა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა პირველად სკრინინგულ კვლევებს;
- საჭიროების შემთხვევაში წინასწარი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით უფასო ინსტრუმენტულ–ლაბორატორიულ გამოკვლევებს, სკრინინგის შემდგომ კონსულტაციას.
- პროგრამის შედეგების საფუძველზე მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნას;
- პროგრამის შედეგების მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზს / ინტერპრეტაციას.

ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი და შესრულებული ვიზიტები, აჭარა, 2014წ

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	დაგეგმილი ვიზიტები	შესრულებული ვიზიტები	სკრინინგი გაიარა (ბენეფიციარი)
ბათუმი	249	249	23 237
ქობულეთი	89	89	8271
ხელვაჩაური	50	50	4968
ქედა	22	22	1980

შუახვევი	18	18	1726
ხულო	34	33	3024
ჯამი	462	461	43 206 მ.შ. 9744 ბადის აღსაზრდელი

წინასწარი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 3311 ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევა, მათ შორის: ექოსკოპია- 640, რენტგენოგრაფია-1294, ავტორეფრაქტომეტრია – 390, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმ/გ –ვა 459, ვიზომეტრია –252, ოფთალმოსკოპია –209, სხვა-67. სკრინინგის შემდგომი კონსულტაცია – 1363

➤ ღონისძიება– ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში (სამიზნე ჯგუფი) 2014 წელი

ღონისძიებით გათვალისწინებულია რეგიონის 0–200 000 მდე სარეიტინგო ქულის ორსულთა გამოკვლევა ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით:

- ❖ ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა
- ❖ თირეოტროპული ჰორმონის, თავისუფალი თიროქსინის განსაზღვრა
- ❖ ენდოკრინოლოგის კონსულტაცია

ღონისძიებით ისარგებლა:

1314-მა - 0-200 000 –მდე სარეიტინგო ქულის მქონე ორსულმა, მ.შ. ბათუმში–983, ხელვაჩაურში–114, ქობულეთში–54, ქედაში 53, შუახვევში-31, ხულოში–79.

➤ ღონისძიება – ე ვირუსული ჰეპატიტის დიაგნოსტიკა მოზრდილ მოსახლეობაში 2014 წელი

ღონისძიებით გათვალისწინებულია:

სკრინინგი სწრაფი მარტივი ტესტირებით
თვისობრივი განსაზღვრა.

ღონისძიები ფარგლებში გამოკვლეულ ბენეფიციართა რაოდენობა, აჭარა, 2014წ

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	საპროგნოზო რაოდენობა	გამოკვლეულია
---------------------------	----------------------	--------------

ბათუმი	1500	1306
ხელვაჩაური	450	556
ქობულეთი	600	648
ქედა	140	156
შუახევში	130	159
ხულო	180	175
აჭარა	3000	3000

თვისობრივი განსაზღვრა ჩატარდა 300 ბენეფიციარს, მ.შ. დიაგნოზი დაუდასტურდა 283 –ს (95%).

➤ **კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში–2014 წელი**

ღონისძიებით გათვალისწინებულია:

40 ვიზიტი მაღალმთიანი აჭარის მუნიციპლალიტეტებში,
თითოეულ ვიზიტზე:

- ონკოლოგის, რადიოლოგის კონსულტაცია,
- პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით საჭიროების შემთხვევაში:
- ონკოუროლოგის, ონკოგიენკოლოგის, ონკოლარინგოლოგის კონსულტაცია,
- მამოგრაფია, ციტოლოგიური გამოკვლევა, PSA განსაზღვრა.

მაღალმთიანი აჭარის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე შესრულდა 40 ვიზიტი, კონსულტაცია ჩატარდა 1707 ბენეფიციარს, მ.შ ქედაში–12 ბენეფიციარი – 492, შუახევში–12 ბენეფიციარი – 507, ხულოში–16 ბენეფიციარი – 708.

დიაგნოზის დადასტურება:

- ❖ ლარინგოლოგის კონსულტაცია – 419 ბენეფიციარი
- ❖ უროლოგის კონსულტაცია – 443
- ❖ გინეკოლოგის კონსულტაცია – 400
- ❖ ციტოლოგია – 140
- ❖ PSA განსაზღვრა – 243
- ❖ მამოგრაფია – 4

2014 წლის მე–40 კვირიდან გრიპის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რისკ–

ჯგუფებისათვის მოწოდებულ იქნა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აცრილი იქნა 1278 ბენეფიციარი, მ.შ.: დიალიზზე მყოფი პაციენტი–185, დიაბეტიანი ბავშვი–23, მოხუცებულთა თავშესაფრის მობინადრე –80, სამედიცინო პერსონალი –946, სხვა–44.

„წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N273 განკარგულების და მასში შეტანილი ცვლილებების ფარგლებში 2014 წლის განმავლობაში ჩატარდა სულ წითელა–წითურა–ყბაყურას საწინააღმდეგო 4585 აცრა.

2014 წლის განმავლობაში ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში სადიაგნოსტიკო ტესტებით გამოკვლეულ იქნა: ბ ჰეპატიტის სადიაგნოსტიკო ტესტით –6184 ორსული, აივ/შიდსის სადიაგნოსტიკო ტესტით – 6099 ორსული, სიფილისის– 5862 ორსული.

ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით იმუნიზირებული იქნა 161 ბავშვი.

დასაქმების სააგენტოს 2014 წლის

შესრულებული სამუშაოს ანგარიში

ბიუჯეტი - 2014 წელი 406 500 ლარი

სტატისტიკა 2014

სსიპ აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში სულ დარეგისტრირებულია (01.01.2012 წ.-31.12.2014წ) 16 505 სამუშაოს მაძიებელი, ამათგან 2014 წელს დარეგისტრირდა 2146 ამავე პერიოდში, დამსაქმებლებთან სხვადასხვა პოზიციაზე გაიგზავნა 5151 ადამიანის CV, 1992 დასაქმების მსურველი გაიგზავნა გასაუბრებაზე, 2014 წელს დასაქმდა 1703-ადამიანი.

განხორციელებული პროექტები:

1) დასაქმების სააგენტოს 2014 წლის მიზნობრივი პროგრამა „შრომის ბაზრის კვლევა“, მიზანი:

- ❖ აჭარაში სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა, დეფიციტური და მოთხოვნადი პროფესიების დადგენა და კადრების მომზადება-გადამზადების სისტემის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.
- ❖ სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის სიტუაციური შესწავლა-ანალიზი;
- ❖ სამუშაო ძალაზე მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის განსაზღვრა პროფესიებისა და სპეციალობების მიხედვით;

- ❖ ცალკეული პროფესიის მომუშავეების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევებისადმი დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლა;
- ❖ კადრების კვალიფიკაციით დამსაქმებელთა კმაყოფილების დონის შეფასება;

კვლევას აწარმოებდა გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენილი შპს „ბი სი ჯი კვლევა“, რომელმაც ჩაატარა დამსაქმებელთა სპეციალური სოციოლოგიური გამოკითხვა - ინტერვიუ ანკეტირების მეთოდით, რაც გულისხმობდა 50 სიღრმისეულ, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან - 30, ბიზნეს - ორგანიზაციების, კერძო კომპანიებისა და ზოგადად, სხვადასხვა ტიპის დამსაქმებლებთან - 20 ინტერვიუს. შესწავლილ იქნა დამსაქმებელთა მოთხოვნები და პრობლემები, რომლებსაც ისინი აწყდებიან საჭირო პროფესიისა და კადრების მოზიდვის სფეროში.

2) ვიზიტი პოლონეთში

პოლონეთის რესპუბლიკის მალოპოლსკას რეგიონის მარშალის ოფისის, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს ერთობლივი პროექტის „აჭარის ა/რ შრომის ბაზრისა და ეკონომიკური პროგნოზირების ობსერვატორიის შექმნა და მხარდაჭერა“ ფარგლებში, პოლონეთის რესპუბლიკის მალოპოლსკას რეგიონის მარშალის ოფისის მიწვევით განხორციელდა სასწავლო ვიზიტი პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში.

3) აჭარის შრომის ბაზრისა და ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების ობსერვატორია

- პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული „Polish Aid 2014“ -ის კონკურსში გამარჯვების შედეგად მოპოვებული გრანტის საფუძველზე აჭარასა და მალოპოლსკას რეგიონებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა აჭარაში შრომის ბაზრისა და ეკონომიკური პროგნოზირების ობსერვატორიის შექმნის პროექტი, რომლის ფარგლებში მომზადდება კითხვარი, რომელიც დაგვებმარება შრომის ბაზრისა და მეწარმეობის მხარდაჭერის დარგში ინსტიტუციური, იურიდიული და ორგანიზაციული სისტემის განსაზღვრაში. ამ სექტორის საქმიანობა დაფიქსირებული იქნება უპირველესად, აჭარაში შრომის ბაზრისა და მეწარმეობის ინსტიტუციური და იურიდიული სისტემების ღრმა ანალიზზე. ჩატარდება სემინარები აჭარისა და მალოპოლსკას დელეგაციების ვიზიტების დროს. ვიზიტებსა და ანალიზის გაკეთების შორის პერიოდებში ჩატარდება სტატისტიკური დოკუმენტაციის დამუშავება და სპეციალისტების კონსულტაციები.

4) ჩატარდა სემინარ-ტრენინგები თვითპრეზენტაციის უნარის ჩამოყალიბების, სამოტივაციო წერილისა და CV-ის შედგენის საკითხებზე (250 მსმენელი) აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტში.

5) გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისთვის“ ა(ა)იპ - ის შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, რომლის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სამმა პირმა გაიარა კომპიუტერული უნარჩვევების სწავლების სამთვიანი კურსი.

დასაქმების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობის მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსა და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“ შორის, ასევე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის ა.რ. საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს შორის. აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის იმ სექტორების გამოვლენას, სადაც არსებობს ან/და შესაძლებელია შეიქმნას ვაკანსიები, ასევე ადამიანური რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას.

6) ჩატარდა რამდენიმე გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან, რაც გულისხმობდა დასაქმების სააგენტოს მომსახურეობის შესახებ ინფორმირებას, კერძოდ, თუ როგორ ხდება სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, კონსულტაცია, რეზიუმეს შედგენა და მათი შრომითი მოწყობის მიზნით საშუაშაგლო საქმიანობის ორგანიზება. განხილულ იქნა სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების საკითხები.

7) მიმდინარეობს მუდმივად დამსაქმებელთა ბაზის სისტემატიური განახლება, მათთან უშუალო კონტაქტის დამყარება ვაკანსიების მოზიდვის მიზნით, ასევე დამსაქმებელბთან უკუკავშირის დამყარება, მათთვის შესაფერისი კადრების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

8) გაიმართა შეხვედრა - საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელთან ქართველ მიგრანტთა რეინტეგრაციის მიზნით.

მიგრანტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით ბათუმში ქართველი მიგრანტებისთვის ე.წ. მობილურობის ცენტრი გაიხსნება, რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების განვითარება საზღვრის და მიგრაციის მართვის მიმართულებით“ ერთ-ერთი კომპონენტი იქნება.

9) მოსახლეობისათვის სააგენტოს საქმიანობისა და სერვისების უკეთ გაცნობის მიზნით, მომზადდა სოციალური ვიდეო-რგოლი.